ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

რა წერია ბირჟა მაფიის წევრის, გიორგი ქებურიას, ჩვენებაში



გვ.6

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ოთხშაბათი, 14 ივნისი, 2017 №139 (7374) ფასი: 50 თეთრი

# ნუკრი ქანთარია: „საპარლამენტო უმრავლესობას საფრთხე ემუქრება“



გვ.2

შეიძლება მე არ მომწონდეს არც ერთი პარტია და არ არის აუცილებელი, მივეტმასნო ვინმეს და მოვაწონო რომელიმე პარტიას თავი და უნდოდეს მოქალაქეს, რომ იყოს არჩეული. ეს უფლება იკარგება, ამიტომ მე მაჟორიტარების მხარეს ვიხრები. ამ ძირითად საკითხზე თუ ვერ შევთანხმდით ჩვენ, მაშინ, ბუნებრივია, უმრავლესობას გარკვეული საფრთხე ემუქრება და ეს არ უნდა დავუშვათ.

## „ქართული ოცნება“ კომიკურ შეცდომებს უშვებს“



გვ.2

## კახა კუკავა: „ხელისუფლებას მძიმე შემოდგომა ელოდება“



გვ.3

„რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო არა რომელიღაცა პოლიციელმა ჭიჭიკიამ, რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო თვითონ კვირიკაშვილმა, შოთაძემ, ჯეჯელავამ“

## ვის სურს შსს-ს დისკრედიტაცია




## „ქვემო ქართლის მოსახლეობას ეუბნებიან, რომ ეს ტერიტორია აზერბაიჯანისაა“

გვ.5

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნარკოტიკების ლეგალიზების მოთხოვნის უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან"

## ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაცია ჟონავს“




ISSN 1987-9385
9 771987 938006

რა დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში გია ბარამიძეს

გვ.4

## სჭირდება თუ არა საქართველოს ანტიდოპინგური კანონმდებლობა?



კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ივნისის ბოლომდე დაიწყება

გვ.6

## პატიმარი ლია ქანტურია სისხლისგან დაიცალა — რა მოხდა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში?

გვ.2

## „გადასახადის გადამხდელები — საბანკო ოლიგოპოლიის ზემოგების მთავარი კონტრიბუტორები“



გვ.6

# „ქართული ოცნება“ კომიკურ შეცდომებს უშვებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახლა თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკურად აფასებს.**



***— ბატონო თორნიკე, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, მუხთარლის საქმე, რეპერების საქმე, რამდენად არის სიგნალი, რომ რაღაც ისე არ არის?***

— მსგავსი სიტუაციების მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ხელისუფლება თავის თავშია ჩაკეტილი. კრიტიკას არ იღებს, არსებულ კრიტიკას აგრესიით პასუხობს. როდესაც მსგავსი სისტემაა შექმნილი, ამ დროს ყოველთვის მმართველი ძალა, რომელიც კრიტიკას არ იღებს და კონკურენტიც არ ჰყავს სწორედ ასეთ, მე ვიტყოდი, აბსოლუტურად კომიკურ შეცდომებს უშვებს. თუმცა, ვერც იმას ხვდება, რომ ამ დაშვებული შეცდომების გამოსწორება თავად უწევს, რისი აღიარებაც საბოლოო ჯამში აღარ უნდა. ამას არაფორმალური მმართველობის პრობლემაც ემატება, როდესაც გადაწყვეტილების მიღების ეშინიათ, ვერ იღებენ. მთავარი ეს ორი პრობლემაა. ეს ყველაფერი კი ქმნის სურათის იმ ერთობლიობას, რომელიც სახეზე გვაქვს.

***— თქვენ კონკურენციაზე საუბრობდით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას ჰყავდეს ძლიერი ოპოზიცია, რომ სწორედ მსგავსი შეცდომებისგან დაზღვეული იყოს, უფრო ფრთხილად იყოს?***

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ძლიერი ოპოზიცია. ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება ძლიერი ოპოზიცია სწორედ იმიტომ, რომ მძაფრი, კრიტიკული შეცდომები არ დაუშვას. მუდამ ფორმაში იყოს. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ტრადიციულად მმართველ ჯგუფს აქვს ესტაფეტა, რომ ოპოზიცია ბოლომდე გაანადგუროს და თვითონ იყოს აბსოლუტურად უსაფრთხოდ. ყველა პოლიტიკური ელიტა ახერხებს, რომ გაანადგუროს პოლიტიკური ოპოზიცია და მიაღწიოს სიმყარეს, თავს გრძნობდეს უსაფრთხოდ, მაგრამ ეს „უსაფრთხოება“ ძალიან დროებითია და ამავდროულად ძალიან საშიშია.

***— თავად ხელისუფლებისთვის არის საშიში?***

— დიახ, თავად მმართველი გუნდისთვის, რადგან ამ დროს შიგნიდან იწყება რღვევა, შეცდომების დაშვების კასკადი. ამის მაგალითი არაერთგზის გვინახავს ჩვენი ხელისუფლების თუ სხვა ქვეყნის ხელისუფლების მაგალითზე. ეს არის ნათელი ჭეშმარიტება, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება.

***— რატომ ვერ აცნობიერებს ამას ხელისუფლება?***

— ამის გაცნობიერება რთულდება, როდესაც ძალაუფლება შეუზღუდავია, როდესაც ხელისუფლებაში ხარ და ფიქრობ, რომ არაფერი არ გემუქრება, მუდამ იქნები.

ჩემი აზრით, ეს ორი მოვლენა, მუხთარლის გატაცება და რეპერების დაჭერა, შემდეგ კი განთავისუფლება, რომელმაც კომიკური სახე მიიღო, ჯერ ბერამ დაუჭირა მხარი და შემდეგ ჩვენი მინისტრები ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ მათაც დაეჭირათ მხარი, ეს არის პირველი სიმპტომური ნიშნები სისტემური კრიზისის. თუ დროულად ვერ მიხვდებიან, რომ კრიზისი სისტემური არის და ასე გააგრძელებენ მუშაობას, ამას უარესი კრიზისები მოჰყვება. ფაქტია, სისტემა შეცდომას უშვებს, როდესაც მსგავსი რაღაცები ხდება. მომხდარი ფაქტები უკვე არის იმის ნიშანი, რომ სისტემა არანორმალურად მუშაობს და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს აფეთქდეს, ეს არის ძალიან ცუდი.

***— სად არის გამოსავალი, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ, როგორ შეიძლება სახე შეინარჩუნოს და გამოვიდეს ამ სიტუაციიდან?***

— პირველ რიგში ამისთვის აუცილებელი არის განთავისუფლება იმ ტყვეობიდან, რასაც ჰქვია — ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ და ჭეშმარიტებაზე ჩვენ გვაქვს მხოლოდ მონოპოლია.

ასევე განთავისუფლება იმისგან, რასაც ჰქვია, ვინც გვაკრიტიკებს, ის მტერია ან ნაციონალების მოგზავნილია. ამ მენტალიტეტისგან თუ არ განთავისუფლდებიან, არაფერს აზრი არა აქვს. მეორე, თუმცა, ეს იდეალურ შემთხვევაში — ყველაზე კარგი იქნებოდა კოალიციური მთავრობა.

ზოგადად კოალიციური მთავრობის კულტურა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. შეიძლება არჩევნები მოიგო, 50%-ზე მეტიც აიღო ან საკონსტიტუციო უმრავლესობაც მოიპოვო, მაგრამ მთავრობა კოალიციურად უნდა დააკომპლექტო. მიუხედავად იმისა, რომ შეგიძლია მთავრობა მთლიანად შენ დააკომპლექტო, მიუხედავად ამისა, პოლიტიკურად გონივრული ნაბიჯი უნდა გადადგა. ეს კულტურა მთლიანად არის ევროპული კულტურა.

ერთი, ამ ნაბიჯით თანამშრომლობის ხელს უწვდი ოპოზიციას. მეორე, ამ დროს ოპოზიციას ნაკლები მოტივი აქვს, რომ ყოველდღე დაგარტყას და გაკრიტიკოს, გვერდით გყავს და მასთან ერთად იღებ კომპრომისულ გადაწყვეტილებებს. მესამე, ოპოზიციას უნაწილებ პასუხისმგებლობას, თუ შეცდომა ხდება, ეს მხოლოდ ხელისუფლების ბრალი კი არ არის, ოპოზიციაზეც გადადის პასუხისმგებლობა. ეს არის წმინდად ევროპული კულტურისთვის დამახასიათებელი პოლიტიკა.

საკონსტიტუციო რეფორმის განხილვის დროს გვესმოდა, რომ ჩვენ მივდივართ ევროპული მმართველობისკენ, საპარლამენტო მოდელისკენ, მაგრამ რატომღაც არც ერთხელ არავინ არ ახსენა, რომ იმ ევროპაში, საითაც მივილტვით, კოალიციური მთავრობა არის მიღებული. არასწორია შერჩევითი მიდგომა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, იქიდან რაღაც-რაღაც ელემენტების გადმოღება სათავისოდ.

***— 2012 წელს ხომ გვყავდა კოალიციური მთავრობა?***

— არა, ის არ იყო კოალიციური მთავრობა, ის იყო საარჩევნო კოალიცია, რომელმაც არჩევნები მოიგო. ამ საარჩევნო ბლოკიდან პასუხს მხოლოდ ერთი ადამიანი აგებდა. ამდენად, ეს არ იყო კოალიციური მთავრობა. ეს იყო მხოლოდ საარჩევნო კოალიცია.

***— თქვენ ხელისუფლების მეორე ვადაზე საუბრობდით, რატომ უშვებს ყველა ხელისუფლება გამოუსწორებელ შეცდომას სწორედ მეორე ვადაზე? ძალაუფლების ტყვეობაში ვარდება?***

— ნახევრად ხუმრობით გეტყვით, რომ ძალაუფლება ნარკოტიკივით მოქმედებს. ნარკოტიკი კი ადამიანებს აბრუებს და გონებას უჩლუნგებს, მით უფრო, თუ ხელისუფლებაში ხარ და ეს ნარკოტიკი ძალაუფლებაა. ვხედავთ, რომ ეს ხელისუფლებაც მეორე ვადის დროს თავის თავის ჭამას იწყებს შიგნიდან, იწყებს შიგნიდან ნგრევას. ალბათ, სამწუხაროდ, ეს არის ლოგიკური პროცესი.

ჯერჯერობით საქართველოში, როგორც ჩანს, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰყოფნის იმის კულტურა, რომ მიხვდეს, როდესაც ორი ვადით აგირჩევენ, მერე უნდა წახვიდე. წასვლის წინ კი, სიტუაცია ისე უნდა შეამზადო, რომ ნორმალურად წახვიდე და არა სამარცხვინოდ, როგორც აქამდე ყველა ხელისუფლება სამარცხვინოდ წავიდა.

***— ბოლო შემთხვევას რომ დავუბრუნდეთ, უნდა გამოიკვეთოს კონკრეტული პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს?***

— აუცილებლად, რასაკვირველია, უნდა გამოვლინდეს დამნაშავე პირი და მან პასუხი უნდა აგოს. ვიცე-პრემიერმა გვითხრა, რომ დასაჭერები იყვნენ, მაგრამ უცებ ორ დღეში ყველაფერი შეიცვალა, გაირკვა, თურმე არ ყოფილან დასაჭერები, ეს უკვე ძალიან კომიკურ სახეს იღებს, რისი უბრალოდ გატარება არ შეიძლება.

## პატიმარი ლია ჭანტურია სისხლისგან დაიცალა — რა მოხდა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში?



11 ივნისს, სასჯელაღსრულების №5 (ქალთა) სპეციალურ დაწესებულებაში, მსჯავრდებული ლია ჭანტურია სისხლდენის შედეგად გარდაიცვალა, მას სასჯელი რამდენიმე დღეში ეწურებოდა.

გარდაცვალებამდე ლია ჭანტურია რამდენიმე თვის განმავლობაში ციხის ადმინისტრაციას თხოვდა, რომ მიექციათ ელემენტარული ყურადღება და ჩაეტარებინათ მკურნალობის კურსი, თუმცა უშედეგოდ, (სავარაუდოდ იმ მოტივით რომ მსჯავდებული ეკუთვნოდა ე.წ უპატრონო პატიმართა კატეგორიას).

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, მას გახშირებული სისხლდენა დაეწყო, მისი საკანი სისხლის გუბეებით აივსო, სასიკვდილოდ განწირულმა, ბოლოჯერ მიმართა ადმინისტრაციას და ექიმეებს, რომ სისხლისგან იცლებოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო და მოითხოვდა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას. გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე, დაწესებულების ექიმი და ადმინისტრაცია იძულებული გახდნენ, მიემართათ №18 სამკურნალო დაწესებულებისთვის.

მსჯავდებულმა საავადმყოფოდანაც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ადგილი არ ჰქონდათ და ორშაბათამდე მოეთმინა (კანონის შესაბამისად, უმწე მდგომარეობაში მყოფის გადაყვანა უნდა მოხდეს ქალაქის სხვა სამკურნალო დაწესებულებაში).

სამწუხაროდ, ლია ჭანტურიას ორგანიზმმა ორშაბათამდე ვერ გაძლო და სისხლისგან დაცლილი, საკანში კვირას გარდაცვლილი დახვდათ.

**თავისუფალი ზონა**

## ნუკრი ქანთარია: „საპარლამენტო უმრავლესობას საფრთხე ემუქრება“

შორენა მარსაგიშვილი

**მაჟორიტარი დეპუტატები მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. აქამდე თუ მხოლოდ მაჟორიტარების იმედად იყვნენ, ახლა რამდენიმე არამაჟორიტარიც გადაიყვანეს თავის ჭკუაზე. მათგან ერთ-ერთმა ნუკრი ქანთარიამ მაჟორიტარებს საჯაროდ გამოუცხადა მხარდაჭერა.**

ჟურნალისტებთან საუბარში ნუკრი ქანთარიამ განაცხადა, რომ ის მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას უჭერს მხარს. დეპუტატი იმედოვნებს, რომ მმართველი გუნდი ამ საკითხზე საერთო ენას გამონახავს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ის უმრავლესობის დაშლას პროგნოზირებს.

— შეიძლება მე არ მომწონდეს არც ერთი პარტია და არ არის აუცილებელი, მივეტმასნო ვინმეს და მოვაწონო რომელიმე პარტიას თავი და უნდოდეს მოქალაქეს, რომ იყოს არჩეული. ეს უფლება იკარგება, ამიტომ მე მაჟორიტარების მხარეს ვიხრები. ამ ძირითად საკითხზე თუ ვერ შევთანხმდით ჩვენ, მაშინ, ბუნებრივია, უმრავლესობას გარკვეული საფრთხე ემუქრება და ეს არ უნდა დავუშვათ, — განუცხადა ქანთარიამ ჟურნალისტებს.

სხვათა შორის, ის არ არის პირველი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობაში არსებულ პრობლემებზე საუბრობს. „ოცნების“ კულუარებში ამაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ და რამდენიმე საკითხზე სერიოზული კამათიც ჰქონდათ.

საჯაროდ არც ერთი ინციდენტი არ გამოუტანიათ. მაჟორიტარების ამბავი კი ვერ დაიმალებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი მხარდაჭერის გარეშე უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ მიიღებს.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ მაჟორიტარების ამბოხებას სათავეში დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი უდგას სათავეში. ეს უკანასკნელი ამ მანდატს უკვე 13 წელია ატარებს და მიაჩნია, რომ ერმა ამ სისტემაზე უარი არ უნდა თქვას.



ხელისუფლების კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, მას ზურგს ივანიშვილი უმაგრებს. ექსპერტები და ოპოზიცია კი მაჟორიტარების ამბოხს დადგმულ სპექტაკლს უწოდებს.

ამბობენ, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილი მიიღებს. მაჟორიტარების ლობი ოქრიაშვილი კი ამბობს, რომ ყოფილი პრემიერი ამ ამბავში არ ერევა.

დმანისელთა რჩეული მედიას მოუწოდებს, რომ ივანიშვილს თავი დაანებონ, რადგანაც ის ბაღის გაშენებით არის დაკავებული.

— მე მომხრე ვარ მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების. 75 კაცი მაინც არის, მაგრამ პოლიტიკა გუნდური თამაშია, აქედან გამომდინარე არგუმენტებს აქვს მთავარი ძალა და წონა. მე, კახა ოქრიაშვილი, როგორც პიროვნულად, ჩემი ინტერესები არაფერს არ ნიშნავს... თავი დაანებეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ის კაცი წავიდა, თავისთვის არის, დიდ ბაღს აშენებს და მეც ძალიან მომწონს, ასეთი რაღაცებით არის დაკავებული. აგერ კაცმა თქვა — აგერ ბურთი, აგერ მოედანი და ვბჭობთ ახლა ამ ბურთით და მოედნით, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ოქრიაშვილმა.

მაჟორიტარებთან დაკავშირებით, რომ დიდი წივილ-კივილია, ამას პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილიც ადასტურებს.

მისი თქმით, უმრავლესობის ნაწილი პროპორციულ სისტემას უჭერს მხარს, მეორე ნაწილი კი მაჟორიტარულის შენარჩუნებისთვის იღწვის.

თავად ჩუგოშვილი პროპორციულ სისტემას უჭერს მხარს. მისი თქმით, ამ სისტემაზე გადასვლა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ ამ საკითხზე გამოსავალი მოიძებნება. უმრავლესობის დარწმუნებას პარლამენტის თავმჯდომარეც ცდილობს. ის „ქართული ოცნების“ ოფისში უმრავლესობას შეხვდა.

შეძლო თუ არა კობახიძემ კოლეგების დარწმუნება, ამას მომავალი გვაჩვენებს. წინა კვირას მან განაცხადა, რომ თუ ეს მაჟორიტარული სისტემა დარჩება, ის თანამდებობას დატოვებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „ხელისუფლებას მძიმე შემოდგომა ელოდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს**



**„რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო არა რომელიღაცა პოლიციელმა ჭიჭიკიამ, რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო თვითონ კვირიკაშვილმა, შოთაძემ, ჯეჯელავამ“**

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს?***

– ამ მოვლენებმა აჩვენა ის, რასაც მე ბოლო 5 წელია ვსაუბრობ თქვენ გაზეთთან ინტერვიუში, რომ ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფო! საქართველო არის ტერიტორია, რომელსაც კანონიერი ქურდების სხადნიაკი მართავს! ბერას პოსტის შემდეგ გაკეთებული კვირიკაშვილის და კალაძის განცხადებები აჩვენებს სწორედ ამას!

ქურდის შვილმა რაღაც გადაწყვიტა და უკანა თათებზე დადგნენ ფორმალური მინისტრთა კაბინეტის წევრები. აი ეს არის მთავარი პრობლემა, რაც გამოვლინდა და არა ნარკოპოლიტიკა და არა ჩადებები, არა კლიპის შინაარსი და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაზეც მსჯელობს ჩვენი საზოგადოება.

მთელი სახელმწიფო, თავისი პრემიერით და ვიცე-პრემიერებით, ჩართული იყო ამ დანაშაულის დაფარვაში! რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო არა რომელიღაცა პოლიციელმა ჭიჭიკიამ, რეპერებს ნარკოტიკი ჩაუდო თვითონ კვირიკაშვილმა, თვითონ შოთაძემ, თვითონ ჯეჯელავამ!

ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფო ინსტიტუტები, ის არის ბოლომდე დამპალი და რეპერების საქმე წვრილმანია იმასთან შედარებით, რაშიც შეიძლება ამან თავი იჩინოს.

***– ამ ხელისუფლებამ კარგად აითვისა მისი წინამორბედის მანკიერი თვისებები და ოპონენტებს, განსხვავებული აზრის მქონე პირებს, იარაღის თუ ნარკოტიკის ჩადებით იშორებენ?***

– კი არ აითვისეს, ესენი იგივე ხალხია, წინა ხელისუფლებიდან მოსული. რა, შოთაძემ კარგად აითვისა შოთაძის გაკვეთილი?! თუ კვირიკაშვილმა, რომელიც დღეს „ქართული ოცნების“ წევრია, იმ კვირიკაშვილისა, რომელიც მოქალაქეთა კავშირის წევრი იყო?! ეს ხომ ერთი და იგივე ხალხია?! ეს ხალხი, რომელიც მართავს დღეს საქართველოს, ეს არის 1992 წლის ელიტა!

***– ეს სისტემური პრობლემაა და იგივე შსს მინისტრის, ან უშიშროების მინისტრის შეცვლა, რომელზეც ასე აქტიურად მიდის საუბარი, არაფერს შეცვლის?***

– ობიექტურად რომ ვთქვათ, მღებრიშვილი არ არის ამ საქმეში მთავარი მოქმედი პირი, თუმცა, რა თქმა უნდა, მას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა! ყველა კარგად ვხვდებით, რომ ასეთი ტიპის საქმეზე, გადაწყვეტილებას იღებენ პოლიტიკური ხელმძღვანელები და მღებრიშვილი ამ კატეგორიას არ განეკუთვნება. უშუალოდ რეპერი ბიჭების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება კვირიკაშვილს, კალაძეს, ჯეჯელავას და შოთაძეს!

***– ჯეჯელავას განცხადებებმა საზოგადოებაში სერიოზული კრიტიკა გამოიწვია.***

– კლიპის საკითხზე მსჯელობაში შესვლა ჯეჯელავას მხრიდან, ეს იყო ყოვლად სამარცხვინო. როგორც გირგვლიანის მკვლელობის შემდგომ სამარცხვინო გიგა ბოკერია და მისი ბანდა აპრავებდა დამნაშავეებს, რომ თურმე სანდრო გირგვლიანმა გვერდზე სუფრაზე მსხდომებს შეაგინა. როცა საქმე მკვლელობას ეხება, ეს იყო ბინძური გაპრავება დამნაშავეების. დღესაც, როდესაც უდანაშაულო ახალგაზრდებს ნარკოტიკი ჩაუტენეს ჯიბეში და 18 წლის ბავშვებს 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას უსჯიდნენ, ამ კონტექსტში იმაზე მსჯელობა, რომ ამ რეპერებმა კარგად გარეპეს თუ ცუდად, ეს არის სიბინძურე და ჯეჯელავა არის ბინძური ადამიანი და ბინძური მინისტრი! ჯეჯელავას ტექსტი რომ ვთარგმნოთ, ნიშნავდა იმას, რომ დასაჭერები არიან ეს ბიჭები.

***– რატომ დაიხია უკან ხელისუფლებამ, რამ შეაშინა ისინი?***

– შეაშინა 5 ათასმა კაცმა, რომელიც გამოვიდა რუსთაველის გამზირზე! მე კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ 2017 წლის გაზაფხული, ეს არის 2007 წლის ანალოგია! როდესაც ხელისუფლება იქცევა ცინიკურად, სადაც ცეცხლია, ყველგან ასხამს ნავთს. კონსტიტუცია შეცვალა ორივე ხელისუფლებამ, სააკაშვილის რეჟიმმა სწორედ 2007-ის გაზაფხულზე დაანგრია თაბუკაშვილი, მელიქიშვილიდან ჟურნალისტები გამოასახლეს და რამდენი სიბინძურე ჩაიდინა. ესენიც კონსტიტუციას ცვლიან, ოპოზიციას ე.წ. ეძახიან, კალაძემ ხანდოში საფლავები ამოთხარა და რომელი ერთი ჩამოვთვალო, ყოველდღე რაღაცა ხდება! 2007 წლის გაზაფხულს იმიტომ ვახსენებ, რომ მას 2007 წლის შემოდგომა და 7 ნოემბერი მოჰყვა!

***– საით მიანიშნებთ?***

– ეს ხელისუფლებაც მიდის მიზანმიმართულად 7 ნოემბრისაკენ. რუსთაველზე 5 ათასი კაცი მათთვის უბრალოდ იყო ამ სცენარიდან ცოტათი გადახვევა, რადგან 2007 წლის გაზაფხულზე ამდენი კაცი არ გამოსულა. მაშინ 100-150 კაცი გამოდიოდა მიტინგებზე 7 ნოემბრამდე. ეს ხელისუფლებაც ელოდა, რომ 100 კაცი გამოვა და გააპროტესტებსო. ეს 5 ათასი კაცი კი მათთვის იყო შოკი. შეიძლება ისინი რაღაცას მიხვდნენ, უბრალოდ, ამ ადამიანების ტვინში ძალიან ცოტა უჯრედებია და ამ ყველაფერს დიდხანს ვერ დაიმახსოვრებენ.

***– ანუ სერიოზული საფრთხის წინ დგას ადგილობრივი არჩევნების წინ ოცნება?***

– არჩევნები არ არის ამ ხელისუფლების მთავარი საფრთხე იმიტომ, რომ საქართველოში არჩევნები არ ტარდება. საქართველოში არის ხმებით საჯარო ვაჭრობა. როდესაც გამოდის ქართველი ამომრჩეველი და იძახის, რომ აბა, ვყიდი ხმას და ვინ მეტს გადაიხდისო. აქედან გამომდინარე, არჩევნები არ არის ბიძინა ივანიშვილისთვის საფრთხე.

***– აბა, რა არის საფრთხე ივანიშვილისთვის?***

– ბიძინა ივანიშვილისთვის საფრთხე არის პოსტარჩევნებისეული პერიოდი და ზოგადად ეს შემოდგომა! რასაც არ გაეკარა ეს ხელისუფლება, ყველაფერი სკანდალი გახდა. რუსთავი 2-ის საქმე, ციანიდის საქმე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რეპერი ბიჭები. მანამდე კიდევ რამდე მსგავს შეცდომას დაუშვებენ. ყველგან ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს ხელისუფლება უკვე არის უუნარო! კიბოს მეოთხე სტადია აქვს. ეს შემოდგომა მათთვის ძალიან მძიმე იქნება. რეპერების საქმე კიდევ არ იყო იმ კატეგორიის საქმე, რომელზეც მასა დაიძრება, თუმცა ვნახეთ, რამდენი ხალხი გავიდა ქუჩაში. შემოდგომა ივანიშვილისთვის სერიოზული საფრთხის მატარებელი იქნება. შესაძლოა, სრულიად უწყინარ თემაზე გამოვიდეს ათი ათასობით კაცი ქუჩაში და ეს რეჟიმი დაასრულოს, მშვიდობიანი ან არამშვიდობიანი ფორმით.

***– ანუ სხვა ფორმა არ არსებობს? ამ ხელისუფლებასაც საპროტესტო აქციები დაასრულებს?***

– რა თქმა უნდა! ამ რეჟიმს ხალხის მასობრივი პროტესტი დაასრულებს. ამ ხელისუფლებამ ვერაფერიც ვერ გაიგო. იგივე ვენეციის კომისიის შენიშვნები ძალიან სერიოზულია, ეს თუ ხელისუფლებამ არ გაიზიარა, ის ცუდად დაასრულებს. კობახიძე აცხადებს, რომ ეს ხარვეზებია და თარგმანშია შეცდომაო და მალე დარწმუნდება კობახიძე, რომ თვითონ არის ბუნების შეცდომა! ამაში დაარწმუნებენ შესაბამისი ინსტიტუტები.

# თამარ ჩუგოშვილმა „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება აღიარა



პარლამენტის პირველი ვიცესპიკერის, თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ერთადერთი თემა, რაზეც უმრავლესობა ვერ თანხმდება, საპარლამენტო საარჩევნო სისტემაა.

როგორც ჩუგოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უმრავლესობის ნაწილი მომხრეა, მაჟორიტარული საარჩევო სისტემა დარჩეს, ხოლო მეორე ნაწილი მხარს უჭერს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას.

– ერთადერთი თემა, რომელზეც ახლა მიდის დისკუსიები, არის საპარლამენტო საარჩევნო სისტემა. მომხრეები ჰყავს მაჟორიტარული სისტემის დატოვებას, ასევე არის საკმაოდ დიდი ჯგუფი, მათ შორის მე, რომელიც ვფიქრობთ, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ქვეყნისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც უზრუნველყოფს მეტ წარმომადგენელს პარლამენტში, უფრო პლურალისტური იქნება პარლამენტი და უფრო დემოკრატიული იქნება პროცესები, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

ამასთან, ჩუგოშვილი ვარაუდობს, რომ გამოსავალი მოიძებნება და პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არ ჩავარდება.

– ჩვენ ვფიქრობთ მოვძებნოთ გარკვეული კონსენსუსი. არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ჩავარდება, თუმცა გარკვეული შიდა კონსულტაციები გვიწევს. ვფიქრობ, გამოსავალს ვიპოვით ამ ვერსიიდან და შევჯერდებით ვერსიაზე, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში პროპორციულ სისტემაზე გადასვლას,– განაცხადა ჩუგოშვილმა.

„ქართული ოცნების“ ოფისში პარლამენტის თავმჯდომარისა და უმრავლესობის შეხვედრა მიმდინარეობს. შეხვედრის თემა საარჩევნო სისტემაა.

# „ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი კი ნიკა მელია იქნება“



ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატი ჟურნალისტი ზაალ უდუმაშვილი, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი კი ნიკა მელია იქნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიაში, პირად საუბრებში განუცხადეს, აღნიშნულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საბოლოოდ გუშინ შეჯერდა.

ნიკა მელია იქნება ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერიც. არსებული ცნობით, უდუმაშვილისა და მელიას წარდგენა მომავალ კვირას მოხდება.

# რატომ დატოვა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა თანამდებობა

შორენა მარსაგიშვილი

მცხეთა-მთიანეთის მხარე ისევ გუბერნატორის გარეშე დარჩა. გუშინ, 13 ივნისს, ოფიციალურად დადასტურდა ინფორმაცია გოჩა ზეიკიძის გადადგომის შესახებ.

როგორც „ახალ თაობას“ რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციაში განუცხადეს, ზეიკიძემ პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ყოფილი გუბერნატორი კომპანია „მექანიზატორში“ დასაქმდება. ეს კომპანია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

მოახლოებული არჩევნების ხათრით გუბერნიას თავკაცის გარეშე არ დატოვებენ. როგორც „ახალ თაობას“ „ოცნებაში“ განუცხადეს, ამ თანამდებობის დაკავების ყველაზე მეტი შანსი გუბერნატორის პირველ მოადგილეს გურამ ამირიძეს აქვს.

სკანდალის და მითქმა-მოთქმის გარეშე არც გოჩა ზეიკიძის წასვლას ჩაუვლია. ის ამ თანამდებობაზე გასული წლის მარტში დაინიშნა. დროის ამ მონაკვეთში მას დეპუტატ ირაკლი ტრიპოლსკისთან არცთუ მეგობრული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ზეიკიძემ თანამდებობა სწორედ ტრიპოლსკისთან დაპირისპირების გამო დატოვა. ტრიპოლსკი ჩვეულებრივი დეპუტატი გახლავთ, მაგრამ მისი სიძლიერე იმაშია, რომ ივანიშვილთან არის დაახლოებული.

ტრიპოლსკი ისე ყოფილა ზეიკიძეზე გადაკიდებული, რომ მისი წაუსვლელობის შემთხვევაში რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის გადაყენებით დაიმუქრა.

– მან დასვა საკითხი, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან ზეიკიძის ჩამოშორება არ მოხდებოდა, თავის მხრივ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ზურაბ ალავიძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს დასვამდა და ამ თემაზე სასაუბროდ ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდებოდა. საქმე ის არის, რომ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ დუშეთის გამგებელის საქმიანობასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრს საკმაოდ უარყოფითი წერილით მიმართა და მისი მოხსნა მოითხოვა. თავის მხრივ, დუშეთის გამგებელი ტრიპოლსკის ახლობელი და ამ თანამდებობაზე მისი პროტეჟეა. აღნიშნული დაპირისპირება სწორედ აქედან მოდის, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

ირაკლი ტრიპოლსკი მედიასთან საუბარში ამ ინფორმაციას სისულელეს უწოდებს და ზეიკიძესთან დაპირისპირებას უარყოფს.

დაპირისპირებას არც „მექანიზატორში“ გადაბარგებული ზეიკიძე ადასტურებს.

– ასეთ რაღაცებს მე ვერ დაგიდასტურებთ. ყველას, რა თქმა უნდა, თავისი შეხედულება აქვს, მაგრამ დაპირისპირებას ვერ დაგიდასტურებ. მე ვარ პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი, დანიშნული მის მიერ და ახალი წინადადებაც პრემიერ-მინისტრისგან იქნება. სხვა ყველაფერი გამორიცხულია. – განუცხადა მედიას ზეიკიძემ.

* * *

ეს არ არის პირველი შემთხვევა როცა ტრიპოლსკი „ოცნების“ წარმომადგენლებს უპირისპირდება. რამდენიმე წლის წინ მას საკმაოდ დიდი უთანხმოება ჰქონდა ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო ჩაფიძესთან. მათ შორის ვითარება ისე დაიძაბა, რომ ჩაფიძე „ოცნების“ დატოვებას აპირებდა.



დაპირისპირების მიზეზი ის იყო, რომ ტრიპოლსკი 2015 წლის იანვარში ტყიბულში ჩავიდა და ადგილობრივებს უთხრა, რომ მათ მომავალ არჩევნებზე სხვა მაჟორიტარს წარუდგენდა. მაშინ ითქვა, რომ ის ოთო აბესაძეს ლობირებდა.

2016 წლის არჩევნებზე ტყიბულელებს ჭიათურასთან საზიარო მაჟორიტარი აარჩევინეს. ოთო აბესაძე თბილისის მერიაში მუშაობს. ელისო ჩაფიძე კი პარლამენტს მიღმა დარჩა.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მიწა არ უნდა გაიყიდოს!“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი წევრი „დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, მიწის გაყიდვის აკრძალვაზე მთავრობის გადაწყვეტილება შედეგია იმისა, რომ ქართველმა საზოგადოებამ იმდენად აიმაღლა ხმა, შეშინდნენ.**




– სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ირაკლი კობახიძის მეთაურობით, მიწების გაყიდვას მხარს უჭერდა. განხილვებმა აჩვენა, რომ საზოგადოება მიწების გაყიდვას მხარს არ უჭერდა. შედეგად წარმოიშვა კოლიზია, საჭირო გახდა მორატორიუმის გამოცხადება. ამ პირობებში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ცხადდება მორატორიუმი და, საერთოდ, იკრძალება ყველანაირი მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ამისთვის სრული სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი არსებობს. ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– ბატონო დიმიტრი, კმაყოფილი ხართ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით, რაც კონსტიტუციაში უნდა აისახოს?***

– კმაყოფილებამდე ძალიან შორია გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის პირველი შედეგი იმ საზოგადოებრივი ზეწოლისა, რომელსაც ხელისუფლებამ ვერ გაუძლო. შედეგად, პარლამენტის თავმჯდომარემ პოლიტიკური განაცხადა გააკეთა, რომ ითვალისწინებენ საზოგადოების ნებას. ისინი დებენ პირობას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწებს საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებზე არ გაასხვისებენ, მაგრამ აქ არის ძალიან ბევრი მაგრამ იმ შესაძლო გამონაკლისებთან დაკავშირებით, რომელზეც ასევე პარლამენტის თავმჯდომარე აკეთებდა განცხადებებს.

***– კერძოდ?***

– გამონაკლისი შემთხვევები არაფრით არ უნდა დავუშვათ, რადგან მიწა არის ქართველთა სამკვიდრო და მილევადი რესურსი.

***– კობახიძემ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვაზე ისაუბრა. როგორც ჩანს, გამონაკლისი არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით დაიშვება.***

– სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვაზე გამონაკლისის დაშვება გამორიცხულია. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის აკრძალვას გამონაკლისი არ უნდა ახლდეს. არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე გამონაკლისის დაშვება შეიძლება იმგვარად, თუ, მაგალითად, რომელიმე ქვეყანა მოითხოვს საელჩოს შენობის აშენებას, ბუნებრივია, უნდა მოხდეს საკუთრების განსაზღვრა. თუმცა, მანამდე, სანამ კონსტიტუციაში ჩაიწერება სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის აკრძალვის შესახებ, უნდა შეჩერდეს მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა, რის პრაქტიკაც ჩვენ გვაქვს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება აუცილებლად უნდა აისახოს კონსტიტუციაში,

***– თქვენმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. თუმცა, აცხადებთ, ხელისუფლებამ ზეწოლას ვერ გაუძლოო. ხელისუფლებამ ზეწოლას ვერ გაუძლო თუ ხელისუფლება უსმენს თავის ხალხს?***

– მე აქცენტი არ გამიკეთებია „დემოკრატიული მოძრაობის“ ბრძოლაზე. მე აქცენტი გავაკეთე საზოგადოების პროტესტზე. სწორედ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ძალისხმევა არ დააკლო. საკონსტიტუციო კომისიაში „დემოკრატიულ მოძრაობას“ მე წარმოვადგენდი. ჩვენ 2017 წლის იანვარში წარვადგინეთ კონსტიტუციის კანონპროექტი, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის აბსოლუტურ აკრძალვას ვითხოვდით.

***– სხვათა შორის, ნაცმოძრაობა და ძმანი მათნი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ. ისინი აცხადებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის აკრძალვა ინვესტიციების შემცირებასა და უარყოფით ეკონომიკურ შედეგს გამოიწვევს. ამაზე რას იტყვით?***

– რომ არა საზოგადოების ზეწოლა, რომ არა „დემოკრატიული მოძრაობის“ აქტიურობა სამუშაო ჯგუფებში, „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები – ყველანი ერთად თანხმდებოდნენ, რომ ქართული მიწა უნდა ყოფილიყო საერთაშორისო საბაზრო ბრუნვის საგანი, ანუ მიწა უნდა გაყიდულიყო. თუმცა, სრული სიმართლე რომ ვთქვა, „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ „დემოკრატიული მოძრაობის“ წინადადებას, ამ საქმეში გაწეული ძალისხმევისთვის მინდა მადლობა გადავუხადო აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, ბატონ პაატა კოღუაშვილს და ყველას, ვინც იბრძოდა ქართული მიწის გადასარჩენად. მინდა მადლობა გადავუხადო მათ, ვინც მხარი დაგვიჭირა პოლიტიკურ ბრძოლაში და გაამყარა ჩვენი არგუმენტები. როცა „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა ღალატი.

***– „ქართული ოცნების“ ღალატი რაში გამოიხატა?***

– „ქართული ოცნება“ სამუშაო ჯგუფებში მხარს არ გვიჭერდა და ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტი არ გაიზიარა, რაც გულისხმობდა მიწის გაყიდვის შემზღუდავი ფორმულირების შეტანას კონსტიტუციაში. ბოლოს ფილარმონიაში ახალგაზრდების ჯგუფმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინა, როცა გააპროტესტა მიწის გაყიდვის გადაწყვეტილება.

***– ითქვა, რომ სანამ კონსტიტუციაში ჩანაწერი გაკეთდება, მორატორიუმი გამოცხადდება მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაზეც, რაზეც ჩვენ ძალიან ვწუხდით, რადგან მასობრივად იყიდებოდა მიწები. დრო და დრო თქვენ მათ სიებსაც აქვეყნებდით. რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის ამ გადაწყვეტილებას?***

– კონსტიტუციაში ჩაწერამდე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვაზე მორატორიუმი აუცილებლად უნდა გამოცხადდეს. მით უმეტეს, როცა ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. „ოცნების“ გამოცხადებული მორატორიუმი საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, ამით სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა მორატორიუმის გადაწყვეტილებას, რადგან კონსტიტუციაში აკრძალვის შესახებ არაფერი ეწერა (ამიტომ კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს). ამათ კი გადაწყვეტილი ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ირაკლი კობახიძის მეთაურობით, მიწების გაყიდვას მხარს უჭერდა, მაგრამ განხილვებმა აჩვენა, რომ საზოგადოება მხარს არ უჭერდა. შედეგად წარმოიშვა კოლიზია და საჭირო გახდა მორატორიუმის გამოცხადება. ამ პირობებში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ცხადდება მორატორიუმი და, საერთოდ, იკრძალება ყველანაირი მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე.

***– ამის საფუძველი კი არსებობს.***

– რა თქმა უნდა. ამისთვის სრული სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი არსებობს. ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

***– ისე, კობახიძის ადვოკატობა არ ვაპირებ, მაგრამ ის აცხადებდა, რომ კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი საბოლოო ვარიანტი არ იყო და საყოველთაო განხილვების შემდეგ შეიძლება ცვლილებები საჭირო ყოფილიყო. როგორც ჩანს, განხილვების შედეგად მივიდნენ ცვლილებების საჭიროებამდე. ალბათ, ამის შედეგია მიწების გაყიდვაზე მორატორიუმის გადაწყვეტილებაც.***

– მიწის გაყიდვის აკრძალვაზე მთავრობის გადაწყვეტილება შედეგია იმისა, რომ ქართველმა საზოგადოებამ იმდენად აიმაღლა ხმა, შეშინდნენ.

***– იმის გამო, რომ არ ეთქვათ შეშინდნენო, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა უკან არასოდეს იხევდა. რაც შედეგად მოიწია საქართველომ, ვიცით. სხვებისაგანაც მოვისმინე, ხელისუფლება შეშინდა, ხელისუფლებამ უკან დაიხიაო. ამგვარი განცხადებებით, ხელისუფლებას ხომ არ უბიძგებთ, საჭირო შემთხვევაში უკან აღარ დაიხიოს?***

– თქვენ მე დიპლომატიას მიწუნებთ.

***– დიპლომატიას არ გიწუნებთ.***

– მაგრამ ჩვენ ხელისუფლებისგან გვახსოვს ისეთი სახიფათო ექსპერიმენტები, როგორიცაა ანტიდისკრიმინაციული კანონი, თვითმმართველობის კანონი. საარჩევნო გარემო და საარჩევნო სისტემა. საზოგადოება სულ უნდა დადიოდეს თითის წვერებზე, რომ რაიმე არ გამოეპაროს. მიმდინარე პროცესმა აჩვენა, რომ სამოქალაქო საზოგადოება თავის სიმაღლეზეა. როცა საჭირო გახდა, მთელი სამოქალაქო საზოგადოება ფეხზე დადგა.

# ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაცია ჟონავს“

## რა დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში გია ბარამიძეს

გულიკო ბალაძე

ექსპერტი ვახტანგ მაისაია აცხადებს, ოფიცერი, რომელმაც ახლახან თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაცია გამოიტანა, ფაქტობრივად, სამხედრო საიდუმლოება გათქვა, რაზეც გამოძიება უნდა დაიწყოს. ასევე გამოძიება უნდა დაიწყოს იმაზე, როგორ მოხდა საიდუმლო ინფორმაცია ოპოზიციური პარტიის ხელში.

– კონკრეტული შენაერთის სამხედრო-ტექნიკურ პირობებზე საუბარი, რომ კონკრეტულ შენაერთს არ აქვს ტყვია-წამალი, ეს უკვე არის სამხედრო შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების გეგმების გათქმა, რაზეც გამოძიება უნდა დაიწყოს. საქართველო-რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტი რომ დაიწყოს, რუსეთი ამ საიდუმლო ინფორმაციას აუცილებლად გამოიყენებს, – განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

***– ბატონო ვახტანგ, თავდაცვის უწყებაზე მუდმივად უარყოფითი ინფორმაციები ვრცელდება. მგონი, ქართული ჯარის ნატოს ძალებთან თავსებადობის პროგრამა არსებობს.***

– დიახ, არსებობს „პარპის პროგრამა“, რომელიც საქართველოს ჯარის ნატოს ძალებთან თავსებადობის მიზნებს ემსახურება. რამდენიმე პროგრამაა თავსებადობის მიზნებით, რაც საქართველოს ნატოსთან სამხედრო-ტექნიკური კუთხით დაახლოებას ემსახურება. თავსებადობის საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამაში. თუნდაც გაფართოებული პაკეტი, რომელიც მიიღო ვარშავის სამიტმა, რის საფუძველზეც საქართველოში შეიქმნა წვრთნისა და აღჭურვის ცენტრი.

***– ეს თავსებადობის პროგრამები გულისხმობს მთელი ჩვენი ჯარების რეკონსტრუქციას და ნატოს სტანდარტებზე გადაწყობას თუ ცალკეული ნაწილების გადამზადება ხდება?***

– მთლიანი ჯარის ნატოს კოალიციური ძალების სტანდარტებთან მიახლოებაზეა საუბარი.

***– სამხედრო ექსპერტები და ისინი, ვინც ახლახან გათავისუფლდნენ სამხედრო უწყებიდან, საუბრობენ იმაზე, რომ სამხედრო უწყებაში პრობლემებია, ასევე საჰაერო ძალების დაშლა ხდება. ეს როგორ გავიგოთ?***

– მე გამაოცა ერთმა რამემ – ახლახან „რუსთავი-2-მა“ გამოიყვანა ოფიცერი, რომელმაც თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაცია გამოიტანა, რითაც, ფაქტობრივად, სამხედრო საიდუმლოება გათქვა. ისმება კითხვა, რამდენად სწორი იყო იმ სამხედრო პირის ქმედება, რომელმაც თავდაცვის უწყებიდან საიდუმლო ინფორმაცია გამოიტანა? ეს რომ წინა რეჟიმის დროს მომხდარიყო, მას დაიჭერდნენ და დიდი ვადით ციხეში ჩასვამდნენ.

ამ პიროვნებამ იმაზე მეტი გააკეთა, რასაც წინა რეჟიმის წარმომადგენლები ედავებოდნენ ჯაშუშობის მუხლით გასამართლებულ ადამიანებს. როდესაც ადამიანი კონკრეტული შენაერთის სამხედრო-ტექნიკურ პირობებზე საუბრობს, რომ არ არსებობს სამხედრო ტყვია-წამალი, ეს უკვე არის სამხედრო შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების გეგმების გათქმა. თვითონ შეიარაღების ტიპი საიდუმლო არ არის. საქართველოს ვალდებულება აქვს გაეროს წესდების 102-ე მუხლის მიხედვით, გაეროს შესაბამის სტრუქტურას წარუდგინოს, რა ტიპის შეიარაღებულ ძალებს ფლობს. ასევე საქართველო არის პარიზის ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების მონაწილე ქვეყანა და ამის გამოც ვალდებულია, შეიარაღებული ძალების რაოდენობა, რა საბრძოლო ერთეული გაგვაჩნია, აცნობოს, ეს მონაცემები არ არის დახურული. თუმცა, ის ინფორმაცია დახურულია, რაც ამ ოფიცერმა დააფიქსირა.

***– სამხედრო პირებს დათხოვნის შემთხვევაში სიცოცხლის ბოლომდე სამხედრო საიდუმლოების შენახვის ვალდებულება არ გააჩნიათ?***

– საიდუმლოების შენახვა რამდენიმე ვადას ითვალისწინებს, ვთქვათ, 10 წელს. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს იმ საიდუმლო ინფორმაციაზე.

***– ახლა ხომ გაითქვა გარკვეული სახის საიდუმლო ინფორმაცია.***

– დიახ. ამგვარი ინფორმაციის საფუძველზე ჩვენი მტრები ახორციელებენ თავიანთი სტრატეგიული გეგმების კორექტირებას. თუ, ვთქვათ, საქართველო-რუსეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, რუსეთი ამ საიდუმლო ინფორმაციას აუცილებლად გამოიყენებს.

***– ამ საიდუმლოების გაცემაში, ფაქტობრივად, მონაწილეობდა ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბარამიძე, რომელმაც შემდეგ რაღაც დოკუმენტები მიიტანა პროკურატურაში.***

– საქმეც ისაა, რომ ვიღაცამ სამხედრო უწყებიდან საიდუმლო ინფორმაცია გამოიტანა, რომელიც ხელში ჩაუვარდა ოპოზიციურ პარტიას. ამაზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას და დაიწყოს გამოძიება.

***– თვითონ ბარამიძე მოითხოვს გამოძიებას თავდაცვის უწყებაში არსებულ მდგომარეობაზე.***

– გამოძიება უნდა დაიწყოს იმაზე, როგორ მოხდა საიდუმლო ინფორმაცია ოპოზიციური პარტიის ხელში. ბარამიძე არ არის ნდობის ჯგუფის წევრი, მას საიდუმლო ინფორმაციის მიღების არავითარი უფლება არ აქვს. საპარლამენტო დონეზე არსებობს ნდობის ჯგუფი. მას აქვს საიდუმლოების ფლობის უფლება. არსებობს რამდენიმე ტიპის ინფორმაცია. არსებობს სამსახურებრივი ტიპის ინფორმაცია, არის შეზღუდული ტიპის ინფორმაცია და ზესაიდუმლო ტიპის ინფორმაცია. ამგვარი ინფორმაციის ფლობის უფლება გააჩნია მხოლოდ ნდობის ჯგუფს.

***– სხვათა შორის, გაერთიანებული შტაბის უფროსმა დაადასტურა, რომ საიდუმლო ინფორმაცია გაიცა.***

– მე გავაკეთე კლასიფიკაცია, როგორ გაიცა საიდუმლო ინფორმაცია. სხვათა შორის, „რუსთავი-2-საც“ ეკისრება პასუხისმგებლობა. ერთ-ერთ ამერიკელ ოფიცერს, რომელმაც საიდუმლო ინფორმაცია გადასცა „ვიკილიქსს“, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. წინა რეჟიმის პირობებში წიგნის გამო აკავებდნენ და აბრალებდნენ, საიდუმლოების გაცემა იყოო. ახლა ნამდვილად გაიცა საიდუმლო ინფორმაცია და ამაზე გამოძიება უნდა დაიწყოს.



***– ბატონო ვახტანგ, ამავე ოფიცერმა განაცხადა, რომ თურმე ქართული ჯარი იკვებება რუსეთიდან შემოტანილი კონსერვებით.***

– ამის გაჟღერება შეიძლება. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ჯარში არსებობს სერიოზული პრობლემები. როდესაც ჯარს 2012 წლიდან 2017 წლამდე ოთხი მინისტრი ეცვლება და მეოთხე მინისტრის შეცვლაზეც არის საუბარი (როგორც გარკვეული წყაროებიდან არის ინფორმაცია), იქ შეუძლებელია პრობლემები არ იყოს.

***– აღმაშფოთებელი ის არის, რომ ქართული ჯარის საკვები მტრული ქვეყნიდან, რუსეთიდან შემოაქვთ. ხომ შეიძლება მოწამლული გამოუშვას?***

– სავსებით შესაძლებელია.

***– არ შეიძლება საქართველოში გაკეთდეს ფირმა, რომელიც ჯარისთვის ჩვენს ქვეყანაში დაამზადებს საკვებ პროდუქტებს? ან არ შეიძლება***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვის სურს შსს-ს დისკრედიტაცია

## „ქვემო ქართლის მოსახლეობას ეუბნებიან, რომ ეს ტერიტორია აზერბაიჯანისაა“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ და რა მიზნით ახორციელებს შსს-ს დისკრედიტაციას, ვის ინტერესებშია ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია, რა გავლენები აქვთ პარლამენტში სოროსელებს, რა პროვოკაციები მზადდება ქვემო ქართლში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**



**ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნარკოტიკების ლეგალიზების მოთხოვნის უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან“**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– საზოგადოებაში დღემდე საუბრობენ 10 ივნისს გამართული აქციის შესახებ. იმ წვიმიან საღამოს აქციაზე რამდენიმე ათასი ადამიანი მივიდა, რაც საკმაოდ სერიოზულ ეჭვებს იწვევს. საქართველოში ასეთი აქციის მოწყობა იოლი არ არის. ამდენი ხალხის გამოყვანა სტრატეგიულ საკითხზეც კი შეუძლებელია.

მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს კარგად ორგანიზებული აქცია იყო, რომელსაც ყველა ტელევიზია ლაივში აჩვენებდა. სხვებს არც საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩამორჩა. ნამდვილად არ მესმის, რატომ უნდა აშუქებდეს საზმაუ იმ აქციას, სადაც ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები ისმოდა.

***– რას მიიჩნევთ ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებად? აქციის მონაწილეები ნარკოტიკების ჩადებას აპროტესტებდნენ.***

– ჩადება არის უკანონობა და ეს საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გააპროტესტოს. სამწუხაროდ, იმ აქციაზე ჩადებაზე ფაქტიურად არ ყოფილა საუბარი. იქ გაკეთებული განცხადებები პირდაპირ სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ იყო მიმართული. „თეთრი ხმაური“, რომელმაც ამ ყველაფერს ორგანიზება გაუკეთა, სოროსის ფონდის მიერ არის დაფინანსებული.

2016 წელს ეს ორგანიზაცია სოროსის ფონდმა 23.000 დოლარით დააფინანსა. ეს ინფორმაცია მათ ვებ-გვერდზე დევს და ყველას შეუძლია ნახოს. თეთრმა ხმაურმა ეს გრანტი აიღო მხოლოდ იმიტომ, რომ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე ეყვირა.

2004-2012 წლებში მთელი ქვეყანა ნაციონალების დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა. უამრავი ორგანიზაცია იყო, მაგრამ სოროსის ფონდმა მათ დასაფინანსებლად 1 თეთრიც კი არ გაიმეტა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სოროსის ფონდში მეც მივედი. მინდოდა მომეძიებინა ფინანსები, რათა უკანონოდ გასამართლებულ ადამიანებს საქმეების ხელახალ გადახედვაში დავხმარებოდი. პირდაპირ მითხრეს, საქმეებს არავინ არ გადახედავს და ტყუილად უნდა მოგცეთ ფულიო. სამაგიეროდ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას დაუჭირა მხარი.

მაინტერესებს, რატომ უნდა წამოეგოს ჩვენი ხელისუფლება მათ ანკესზე? ნარკოტიკების ჩადება თუ ხდება, ჩამდენები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია. არაა გამორიცხული, ხვალ იგივე ხალხმა უკვე იარაღის ტარების უფლებაც მოითხოვოს და მაშინ ესეც დავუშვათ? სამწუხაროდ, იარაღის ჩადებასაც აქვს ხოლმე ადგილი.

გარდა იმისა, რომ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგი ვარ, ძალიან მაშფოთებს სახელმწიფო ინსტიტუტებზე დაწყებული შეტევა. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოექცა. ყველა ფილმსა თუ კლიპში, რაც ბოლო დროს გადაიღეს, ხდება პოლიციელების და მთლიანად ამ სისტემის დისკრედიტაცია.

შექმნილი ვითარება ძალიან მაგონებს გასული საუკუნის 90-იან წლებს, როდესაც პოლიციელებს პანჩურებს ურტყამდნენ. ეს გამსახურდიას ხელისუფლების დროს ხდებოდა. მისი დამხობის შემდეგ მივიღეთ მხედრიონი, რომელმაც პოლიციას ყველაფერი თავზე დაამხო და შედეგად ანარქია მივიღეთ.

***– მართალია, პოლიციის დისკრედიტაციის მცდელობა აშკარაა, მაგრამ ისეთი ვითარება ნამდვილად არ არის, რომ პოლიციელებს პანჩურები ურტყან.***

– ისეთი ვითარება შექმნეს, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ვიღაცას თუ ჰგონია, რომ პოლიციის დისკრედიტაციის შემთხვევაში შსს წესრიგს დაიცავს, ძალიან შემცდარა. არ უარვყოფ, რომ ამ სისტემაშიც არიან ულირსი ადამიანები და კარგი იქნება, თუ შსს ამ ბალასტისგან გათავისუფლდება. პრობლემებიც არის, მაგრამ არა ისეთი, როგორ მუქ ფერებშიც ამას არასამთავრობოების და პოლიტიკოსების ნაწილი ხატავს.

90-იანი წლები გავიხსენე და სწორედ ეს წლები რომ გვაქვს მაგალითად, თუნდაც ამიტომ არ უნდა დავუშვათ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია. იმ წლებში ძალიან ბევრი იყო წამალზე შემჯდარი. ჩემ გარშემო ამ საშინელებამ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. იმ წლებში რამდენიმე ომი ჰქონდა საქართველოს. იმ ომებში არ დაღუპულა იმდენი ადამიანი, რამდენიც ნარკოტიკებმა იმსხვერპლა. ეს საშინელი აჩრდილი დღემდე მოგვყვება.

საქართველო ისედაც მომაკვდავი ერების ნუსხაში შეიყვანა გაერომ. ამიტომ ნარკოტიკებით აღარ უნდა დავიხოცოთ თავი. და კიდევ, მაინტერესებს, ის ხალხი როგორ უჭერს ნარკოტიკების დეკრიმინილიზაციას მხარს, რომლებიც სიგარეტის მოწევის აკრძალვას ითხოვენ. აქ ლოგიკა, უბრალოდ, არ არის.

***– იქნებ ეს აქტივობა ნარკოპოლიტიკასთან საერთოდ არ არის კავშირში და, როგორც თავად თქვით, ეს თემა შსს-ს დისკრედიტაციისთვის წამოიწყეს?***

– შსს-ს წინააღმდეგ უკვე რამდენიმე წელია მიდის ბრძოლა. ნაციონალების წასვლის შემდეგ სამართალდამცავები უფრო ჰუმანურები გახდნენ, რაც სხვანაირად იქნა გაგებული. ისევ იმ აქციას დავუბრუნდები, იქ ასეთი განცხადებები ისმოდა, პოლიცია მოვიდეს აქ, ჩვენ ხომ არ მივალთ მათთანო. ხანდახან ვფიქრობ, რომ ამ აქციის უკან ხელისუფლების რომელიღაც შტო ხომ არ იდგა.

***– ფიქრობთ, რომ შსს-ს დისკრედიტაციით თავად ხელისუფლების წევრებიც არიან დაინტერესებული?***

– აქ მარტო შსს-ს დისკრედიტაციაში არ არის საქმე. ნუ დაგვავიწყდება, რომ პარლამენტში წარმოდგენილი „ქართული ოცნების“ ნაწილი არის სოროსელი. ისინი სოროსის მსგავსად მხარს უჭერენ ნარკოტიკების დეკრიმინილიზაციას, ერთსქესიანთა ქორწინებას, მიწის გაყიდვას. სოროსელების ფრთას ერთი საინტერესო მეთოდიც აქვს შემუშავებული. როგორც კი ეკლესიის, მიწის დაცვაზე იწყებ საუბარს, ამას ეგრევე რუსულ ნარატივად გითვლიან.

***– სოროსის ფრთას ხელისუფლებაში დიდი გავლენები აქვს?***

– აქამდე ჯერ არ მისულა საქმე. საბედნიეროდ „ოცნების“ საპარლამენტო შემადგენლობაში სხვა დაჯგუფებაც არსებობს, რომელიც სოროსელებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს.

ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტების დიდი ნაწილი საკუთარ თავს ნაპოლეონს და ჰიტლერს უწოდებს. ჩვენს პოლიტიკაში არიან ადამიანები, რომლებიც გამოდიან და გაიძახიან, პატრიარქი ვარ, დიაკვანი ვარ, მღვდელი ვარ. მაინტერესებს, ამათ რატომ არ ამწესებენ იქ, სადაც მათი ადგილია.

***– გირჩის წევრებზე საუბრობთ?***

– რა ვიცი, გირჩები არიან თუ წიწვები. მღვდლობას და დიაკვნობას იბრალებენ. იმის ნაცვლად, რომ ფსიქიატრიულში გაუშვან, დღე და ღამე ტელევიზიებში სხედან და ხალხს სისულელეებზე ელაპარაკებიან.

ზემოთ გითხარით, რომ ქუჩაში რამდენიმე ათასი ადამიანის გამოყვანა ადვილი არ არის. ეს ხალხი, რომელიც მათი თქმითვე, უსამართლობას აპროტესტებს, რატომ არ იღებს ხმას ამერიკაში ავთანდილ ხურციძის დაკავებაზე. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს ბიჭი არის უდანაშაულო. ადამიანი ისეთი ძლიერი იყო, რკინებს კვნეტდა, სერიოზული შეჯიბრისთვის ემზადებოდა და კრიმინალობას აბრალებენ. რა მნიშვნელობა აქვს, ნარკოტიკს ჩაგიდებენ და ისე დაგიჭერენ უკანონოდ თუ სხვა მიზეზს მოიფიქრებენ.

ხურციძის ამბის გაპროტესტება განცხადებითაც არავის უფიქრია, ქუჩაში გამოსვლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. იგივე შეიძლება ვთქვათ ჩვენს პილოტ სოსო ოსორაულზე. ადამიანს ერის წინაშე ამხელა დამსახურებები აქვს, მაგრამ ხმას არავინ იღებს. თითქოს კონგოელი მეამბოხეების ტყვეობაში ყოფნა დიდი პრობლემა არ იყოს.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მოთხოვნით კი უამრავი ადამიანი გამოდის ქუჩაში. სერიოზული და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კამპანიის უკან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები დგანან.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?***

– უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა ძალიან კარგად იციან, რა მოჰყვება საქართველოში ნარკოტიკების ლეგალიზებას. 90-იანი წლები მათაც კარგად ახსოვთ. როგორც გითხარით, ჩვენ ისედაც მომაკვდავი ერების სიაში ვართ და ნარკოტიკები საერთოდ ბოლოს მოგვიღებს. საქართველოს ტერიტორია კი სხვებს დარჩება.

მოდით ვაღიაროთ, რომ ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს სურს საქართველოს ტერიტორიების მითვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია. საბჭოთა კავშირი 27 წლის წინ დაიშალა და ამ ხნის მანძილზე საზღვრების დადგენა ძნელი არ იყო. და რაკი ჩვენი მეზობლები საზღვრების დემარკაციაზე უარს გვეუბნებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ჩვენს ტერიტორიებზე პრეტენზიები აქვთ.

მეზობელი ქვეყნები ვახსენე და მაინტერესებს, რატომ არ შეშფოთდა საზოგადოება იმით, რაც ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოხდა. ცოტა ხნის წინ ტაძარში მორიგი ოპერა გაიმართა.

***– რა ოპერა გაიმართა?***

– რაღაც კონცერტი გამართეს აზერბაიჯანელებმა ქართულ ტაძარში. ამის ამსახველი ვიდეო სოციალური ქსელითაც გავრცელდა. ტაძარში კონცერტის გამართვა დაუშვებელია. ამას რატომ არ აპროტესტებს იგივე თეთრი ხმაური? აჭარის ტელევიზიას რომ ჩართავს, სულ იმაზე მიდის საუბარი, თუ როგორ ირღვევა მუსლიმების უფლებები საქართველოში. ამაზე სახალხო დამცველი და არასამთავრობოებიც ბევრს ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ხმა არავის ამოუღია იმაზე, რაც ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოხდა.

რელიგიურ თემებზე რაღაც ცუდი ინტრიგები იხლართება. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ცუდი პროცესები მზადდება. ვიღაცები იქაურ მოსახლეობას ეუბნებიან, რომ ქვემო ქართლი არა საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის ტერიტორიაა.

***– ვინ ეუბნება ამას ქვემო ქართლის მოსახლეობას?***

– მათ ვინაობას მალე დავასახელებ. იმას კი გეტყვით, რომ ამ პროვოკაციულ განცხადებებს საქართველოს მოქალაქეები აკეთებენ. აი, ამ პროვოკაციების გაპროტესტებაა საჭირო და დროა კარგად გადავხედოთ იმ პოლიტიკას, რასაც მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა ჰქვია.

ამ ჩვენს ლიბერასტებს რომ დაუჩემებიათ, რუსეთს არ უნდა დაველაპარაკოთ მტერიაო, მტერი რომ არის, მაგიტომ უნდა დაველაპარაკოთ, თორემ მეგობარს დალაპარაკების გარეშეც ესმის შენი. რუსეთს თუნდაც იმიტომ უნდა დაველაპარაკოთ, რომ იქ არსებულმა ანტიქართულად განწყობილმა ძალებმა თავისი გეგმა სისრულეში არ მოიყვანონ. ამ გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს საქართველოს რამდენიმე ნაწილად გაყოფა და ამაში, რეაქციული რუსების გარდა, ჩვენი სხვა მეზობლებიც მონაწილეობენ.

***– რა გეგმაზეა საუბარი?***

– ადრე თუ გვიან, ყარაბაღის საკითხი უნდა გადაწყდეს. სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია. ამიტომაც მოსკოვი ერევნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაგრამ არც აზერბაიჯანის გაღიზიანება არ უნდა. ამიტომაც ყარაბაღს სომხეთს დაუტოვებენ,. აზერბაიჯანს კი საქართველოს ტერიტორიის ნაწილს შესთავაზებენ. ქვემო ქართლის მოსახლეობას უკვე ეუბნებიან, რომ ეს ტერიტორია საქართველოს არ ეკუთვნის.

საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს საზღვრების დემარკაცია. სხვა თუ არაფერი, ნატოში გვინდა შესვლა. ჯერ იქ არავინ არ გვიღებს, და საზღვრების დემარკაციამდე სულ არ მიგვიღებენ. თავის დროზე უნგრეთს ამის გამო არ იღებდნენ ნატოში, მას რუმინეთთან ჰქონდა სადავო საზღვარი. კარგა ხანი მიდიოდა ამაზე დავა რუმინეთთან და ბოლოს, ნატოში შესვლის სანაცვლოდ, უნგრეთმა დათმო 5 სოფელი.

# ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაცია ჟონავს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***ქართული ხორცით გაკეთდეს კონსერვი და მიეწოდოს ჯარს?***

– ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემები, რატომ ხდება ჩვენ მიმართ სამხედრო დაპირისპირებაში მყოფი ქვეყნიდან ჯარის საკვები პროდუქტის შემოტანა. სამხედრო მოწინააღმდეგე ქვეყნიდან ასეთი ტიპის რესურსის შემოტანაზე იმ პირების მიმართ, ვინც ასეთი რამ დაუშვა, უნდა დაიწყოს მოკვლევა.

***– სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენადაც ვიცი, ოფიციალური უსაფრთხოების დოკუმენტებით, რუსეთი საქართველოს ოფიციალურ მტრად არის აღიარებული და ჯარისთვის რომ ასეთი ქვეყნიდან საკვებ პროდუქტებს შემოიტან, ეს რას ნიშნავს?***

– თქვენ ძალიან კომპეტენტურ კითხვას სვამთ. ეს უნდა გაითვალისწინოს თავდაცვის უწყებამ. არ ვიცი, სხვა რა ვთქვა თავდაცვის სისტემასთან დაკავშირებით.

***– როგორც ჩანს, თავდაცვის სისტემაში არის რთული ვითარება და ბევრი პრობლემაა. რატომ ვერ ხერხდება პრობლემების მოგვარება?***

– მთავარი პრობლემა თავდაცვის მინისტრების ხშირი ცვლაა. მივიდა ერთი თავდაცვის მინისტრი, იქიდან გაყარა კადრები, თავისი ხალხი მიიყვანა. მივიდა მეორე, გაყარა, ვინც დახვდა, თავისი არაკონმპეტენტური ხალხი დანიშნა. პრობლემაა ნეპოტიზმი, კომპეტენციის დაბალი დონე და სხვა.

***– ბატონო ვახტანგ, თავდაცვიდან თავის დროზე გაუშვეს კონგოში ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მფრინავი ოსორაული. ახლა საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ის სავარაუდოდ, დაღუპულია. სამხედრო ექსპერტები, რომლებსაც კონგოში გარკვეულ პირებთან კავშირი აქვთ, აცხადებენ, რომ ცოცხალია. ამასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ თქვათ?***

– სამხედრო ექსპერტებთან მეც მქონდა საუბარი და აცხადებენ, რომ ბატონი სოსო ცოცხალია. რის საფუძველზე აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, არ ვიცი. ეს ქვეყანას კარგ მდგომარეობაში არ აყენებს, რადგან საქმე ეხება საქართველოს მოქალაქის სიცოცხლეს. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას, ინფორმაციის გავრცელებისაგან თავის შეკავება სჯობს.

***– ისეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს საქართველოა, სანთლით უნდა ვეძებდეთ ისეთ მაღალკვალიფიციურ სამხედრო მფრინავებს, როგორიც ოსორაულია.***

– ჩვენთან, სამწუხაროდ, შეიძლება დაიწყოს პოლიტიკური სისტემის აფრიკანიზაცია. თუ პრობლემები არ მოგვარდა, ჩვენი ლოზუნგი იქნება დავეწიოთ და გავუსწროთ აფრიკას პოლიტიკური განვითარების კონტექსტში. აფრიკაში არის კლანური, ნეპოტური ტიპის მართვა, არაკომპეტენტური მოხელეებით სამხედრო უწყების დაკომპლექტება, პოლიტიკური ჯგუფების არსებობა, სახელისუფლებო შტოების სრული დაუბალანსებლობა, დაბალი პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის არავითარი პერსპექტივა. ეს არის აფრიკანიზაციის ნიშნები, რაც, სამწუხაროდ, ჩვენთანაც შეიმჩნევა.

***– ნატო, ალბათ, არ ერევა ჩვენი სამხედრო უწყების შიდა საკითხებში. თუ კვალიფიციური კადრები არ გვეყოლება, როგორ მოხდება ქართული ჯარის ნატოს სტანდარტებთან მიახლოება?***

– ეს ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს გადასაწყვეტი საკითხია. ჩვენ, ფაქტობრივად, თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო პოლიტიკა არ გაგვიმიჯნავს. ხარვეზები არის, სტრატეგიული დოკუმენტების დონეზე გვაქვს პრობლემები.

# რა წერია ბირჟა მაფიის წევრის, გიორგი ქებურიას, ჩვენებაში

ტელეკომპანია „იბერია“ იმ სამართალდამცავების ვინაობას ასახელებს, რომლებმაც რეპერები დააკავეს და გაჩხრიკეს: დავით ბრელაშვილი, სოსო ტვილდიანი, ოთარ ჩეხერია და გიორგი იმერლიშვილი. სამართალდამცავები დაკავების ოქმში დეტალურად აღწერენ, როგორ და სად უპოვეს დაკავებულებს ყვითელი ფხვნილი, რომელიც დალუქეს და ექსპერტიზაზე წაიღეს.

„იბერია“ ასევე ავრცელებს დაკავებულების ჩვენებებს, სადაც ერთ-ერთი ბრალდებული დაკავების დროს პოლიციელების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს.

დავით ბრელაშვილი არის დეტექტივ-გამომძიებელი, რომელმაც უშუალოდ შეადგინა დაკითხვის ოქმი. საუბარია გიორგი ქებურიაზე და 7 ივნისს გაფორმებულ ოქმზე.

აი, რა წერია გიორგი ქებურიას ჩვენებაში:

– გამომძიებლის მიერ განმემარტა ჩემი, როგორც ბრალდებულის უფლება-მოვალეობები, რასაც სრულად ვაცნობიერებ. ასევე გეტყვით, რომ გამოკითხვისას ადვოკატის დახმარებას არ ვსაჭიროებ და ინფორმაციას მოგაწვდით მისი მონაწილეობის გარეშე.

თქვენ მიერ დასმული კითხვების ირგვლივ გიჩვენებთ შემდეგს – ვცხოვრობ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად. 2017 წლის 7 ივნისს საღამოს საათებში ვიმყოფებოდი თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 47-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, როდესაც ჩემთან მოვიდნენ დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლები და მითხრეს, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია, მე როგორც პირადად, ასევე ჩემს მართვის ქვეშ მყოფ მანქანაში უნდა მქონოდა ნარკოტიკული საშუალება, რაზედაც ერთ-ერთმა პოლიციელმა წარმომიდგინა დადგენილება გადაუდებელ შემთხვევაში ჩემი პირადი ჩხრეკის შესახებ.

მე გავეცანი დადგენილებას და დავადასტურე ხელმოწერით, რის შემდეგაც მათ ჩამიტარეს პირადი ჩხრეკა, როდესაც შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამომიღეს თეთრ ქაღალდში მოთავსებული მოყვითალო ფერის ნივთიერება, ნარკოტიკული საშუალება, რომელიც დაილუქა



ადგილზევე. ასევე გეტყვით, რომ მე თანახმა ვარ ჩამიტარდეს ნარკოლოგიური შემოწმება. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე ზემოაღნიშნული ჩემგან ამოღებული მოყვითალო ფერის ნივთიერება, ნარკოტიკული საშუალება ვიპოვე რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი კორპუსის წინ და აღნიშნული მინდოდა პირადი მოხმარებისთვის. ისე გეტყვით, რომ მე ჯერ არ მომიხმარია ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება. მე პოლიციის მიმართ აღნიშნულთან დაკავშირებით და საერთოდაც რაიმე პრეტენზია არ მაქვს. დაბეჭდილია ჩემი კარნახით, წავიკითხე, სწორია და ვაწერ ხელს.

პროკურორებისთვის 9 ივნისს მიცემულ ჩვენებაში კი გიორგი ქებურია მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობს, ასევე აღნიშნავს, რომ არავითარ ნარკოტიკულ საშუალებას არ ფლობდა.

– გავეცანი დადგენილებას ჩემი ბრალდების შესახებ, სსკ 260 მუხლის 6-ე ნაწილის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რასაც არ ვეთანხმები, ვინაიდან 2017 წლის 7 ივნისს ვმოძრაობდი ჩემი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით.

ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე, დაახლოებით დელისის მეტროს მოპირდაპირე მხარეს მდებარე შუქნიშნამდე გზა ჩამიჭრა თეთრი ფერის, თუ არ ვცდები, შკოდას მარკის ავტომანქანამ. საიდანაც გადმოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა პიროვნება, რომლებმაც ყოველგვარი განმარტების გარეშე გადამსვეს თავიანთ მანქანაში, ხოლო ჩემს მანქანაში ჩაჯდა ჩემთვის უცხო პიროვნება.

მე ამ პირებმა თავიანთი მანქანით შემიყვანეს ყაზბეგის გამზირის ერთ-ერთ ეზოში (არკაში), სადაც იყო სტადიონი. ამ ორმა პიროვნებამ გადამსვა შავი ფერის ფოლკსვაგენის მარკის ავტომანქანაში. ასევე ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, სადაც ათი წუთის განმავლობაში არავინ არაფერს მეუბნებოდა. ამ დროს ამ მანქანაში თავი შემოყო ჩემთვის უცხო პირმა და მითხრა „პირში ყ...ეს ჩაგიდებ და ისე გამღერებ შე მუ...ლოო“. აღნიშნული უცენზურო სიტყვების გამო მე მივხვდი, რომ მიწყობდნენ პროვოკაციას და აპირებდნენ ჩემს უკანონოდ დაკავებას კლიპის გამო.

ჩემთვის უცხო პიროვნების მიერ ჩემი შეურაცხყოფის შემდეგ მოდის სხვა პიროვნება, ჯდება მანქანის სალონის წინა მარჯვენა მხარეს, როდესაც მე ვზივარ უკანა სავარძელზე და ორივე მხრიდან მიზიან პოლიციელები, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ. ახალმოსული პიროვნება მომიბრუნდა და მითხრა, რომ შემოსული იყო სატელეფონო ზარი, ინფორმაციით, რომ მე თან უნდა მქონოდა ნარკოტიკული საშუალება, რაზეც მე განვაცხადე უარი, ვინაიდან კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ მქონია.

ჩემი დაკავებიდან გასული იყო დაახლოებით ნახევარი საათი, აღნიშნულის შემდეგ ავტომანქანა დაიძრა და ყაზბეგის ქუჩის მცირე მონაკვეთის გავლით მივედით ისევ იმ შესახვევთან, სადაც მოხდა ჩემი უკანონო დაკავება და ავტომობილი გაჩერდა ჩემი მანქანის წინ, რომელსაც მდებარეობა შეცვლილი ჰქონდა.

ამ დროს იმ პიროვნებამ, რომელმაც მითხრა, რომ ჰქონდა ინფორმაცია, თითქოს მე ვინახავდი ნარკოტიკულ საშუალებას, მაჩვენა რაღაც ქაღალდი და მითხრა, რომ მასზე ხელი მომეწერა. ეს იყო დადგენილება მანქანის ჩხრეკის შესახებ. ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით გაჩხრიკეს მანქანა, დაახლოებით 5 წუთი და ისიც ფორმალურად, რომლის შემდეგაც შეადგინეს ავტომობილის ჩხრეკის ოქმი, რომელზეც ისე მომაწერინეს ხელი, რომ მისი შინაარსი ჩემთვის დღემდე უცნობია, ისევე, როგორც ვინაობა იმ პიროვნებისა, ვინც ეს ოქმი შეადგინა მანქანის ჩხრეკა ისე ჩატარდა, რომ ხელბორკილები უკვე მედო.

კატეგორიულად ვაცხადებ – მე ჩემი უკანონო დაკავების მომენტში არავის გავუფრთხილებივარ და ჩემს პირად ჩხრეკაზე არანაირი პირადი ჩხრეკის ოქმი არ შედგენილა და ეს არის სიყალბე. პოლიციის დეპარტამენტში უკანა ეზოდან შემიყვანეს სამორიგეოში, სადაც იქ მყოფ თანამშრომლებს უთხრეს, რომ ზუსტი დრო არ მიეთითებინათ ჩემი შემოყვანის, აღნიშნულის შემდეგ ხელბორკილებდადებული ლიფტით ამიყვანეს, მგონი, მეხუთე სართულზე, სადაც ასევე ჩემთვის უცხო პიროვნებამ მითხრა, რომ თითქოს მე აღმომაჩნდა ნარკოტიკი ელესდე. მე მას ვუპასუხე, რომ არანაირი ნარკოტიკული საშუალება არ მქონდა და ეს იყო პროვოკაცია ჩემ მიმართ და მოვითხოვე ჩემთვის საშუალება დავკავშირებოდი ჩემს ოჯახს ჩემთვის სასურველი ადვოკატის მიწვევის მიზნით, რისი საშუალებაც მე მომისპეს. კაბინეტში ჩემთვის უცხო პიროვნებამ მბრძანებლური ტონით მითხრა, რომ ჩემთვის აჯობებდა, ხელი მომეწერა აღიარებით ჩვენებაზე და პირადი ჩხრეკის ოქმზე, ისე, როგორც მკარნახობდა გამომძიებელი და მე ჯარიმის დაკისრებით გამიშვებდნენ სახლში.

შემდეგ დამაბრუნეს იქ, საიდანაც შემიყვანეს და იმავე პიროვნებამ, ვინც მანქანის ოქმზე მომაწერინა ხელი, ასევე დაწერა ხელით რაღაც დოკუმენტი. სადაც ჩემი ხელით და მისი კარნახით თითქოს მე ნებაყოფლობით წარმოვადგინე ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც იყო მოყვითალო ფერის. აქვე მომაწერინა ხელი, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ქაღალდებზე მომაწერინა ხელი. თუ მე მათ კატეგორიულ მოთხოვნას არ დავემორჩილებოდი, ციხეში გამიშვებდნენ იმ კლიპში მონაწილეობისთვის, რომელზეც ზემოთ ვთქვი, – ნათქვამია გიორგი ქებურიას გამოკითხვის ოქმში, ჩვენებაში, რომელიც მას პროკურატურას 9 ივნისს მისცა.

# სჭირდება თუ არა საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობა?



## კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ივნისის ბოლომდე დაიწყება

ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიღება ევროკავშირის რეკომენდაციაა. თუკი საქართველო ამ კანონს მიიღებს, ეს უნდა მოხდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით. მთავრობა მიიჩნევს, რომ დემპინგთან ბრძოლა ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ინვესტორების შემოსვლას შეუწყობს ხელს. უკვე გადაწყდა, რომ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ივნისის ბოლომდე დაიწყება და კანონის მიღების შემდეგ დემპინგი უკანონო ქმედებად ჩაითვლება. როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა, რომან კაკულიამ განაცხადა, საკანონმდებლო ორგანოში უკვე მიმდინარეობს მუშაობა საბოლოო ფორმატის ჩამოყალიბებაზე. მისი თქმით, მათ უკვე მიმართეს დონორ ორგანიზაციებს, მათ შორის ევროკავშირს, რომ კანონპროექტის განხილვაში ყველა მხარე მაქსიმალურად იყოს ჩართული.

ოპოზიციონერი პარლამენტარები ამ კანონის მიღებას საჭიროდ არ მიიჩნევენ. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ ეს კანონი ზედმეტი რეგულირება იქნება.

– ანტიდემპინგური კანონი ჩვენს სასიკეთოდ არ იმუშავებს, რადგან ქვეყანაში დაიწყება საქონლის ბიუროკრატიული კონტროლი. აღნიშნული კანონი კორუფციის წყარო გახდება, რაც კიდევ უფრო გააძვირებს საქონელს. ჩემი აზრით, კანონპროექტის ინიციატორები ქვეყნის ინტერესებზე კი არ ზრუნავენ, რეალურად, თავიანთი ბიზნესის დაცვას ცდილობენ. შეგახსენებთ, რომ შევარდნაძის პერიოდშიც დიდი საბაჟო ბარიერები გვქონდა, მაგრამ სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა დაქცეული იყო. ეკონომიკას ბარიერები კი არ შველის, არამედ პირიქით, ბარიერების გახსნა და ინვესტიციების მოზიდვა. ამის კარგი მაგალითია კვერცხის ბაზარი, რომლის 90% ამ რამდენიმე წლის წინ თურქული იყო. დღეს კი, კვერცხის ბაზრის 100 პროცენტი ქართულია. ეს იმის ბრალია, რომ მაღალი ხარისხით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი კარგი საწარმოები შეიქმნა. როდესაც გაუქმდა საბაჟო გადასახადები ევროპასთან, დსთ-ის ქვეყნებთან, თურქეთთან, მალე შესაძლოა, ჩინეთთანაც გაუქმდეს, მსგავსი კანონების მიღება რაღა საჭიროა? – აღნიშნავს რომან გოცირიძე.

ანტიდემპინგური კანონმდებლობის შესახებ ეკონომისტებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთო სილაგაძე მიიჩნევს, რომ ასეთი კანონის არსებობა ქვეყანაში აუცილებელია.

– ჩემი აზრით, ანტიდემპინგური კანონმდებლობა ქვეყანას უნდა ჰქონდეს, რადგან დემპინგი კონკურენციის ხელისშემშლელი სერიოზული ფაქტორია. მართალია, დემპინგის შემთხვევაში შეიძლება მომხმარებელმა რაღაც პროდუქტი ნაკლებ ფასში შეიძინოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ის მაინც წააგებს. მოგეხსენებათ, დემპინგური პროდუქცია დაბალ ფასში იყიდება, ეს კი შეიძლება ხარისხის ხელშემშლელი ფაქტორი იყოს. ყველაფერი თავისუფალი კონკურენციის კანონებს უნდა ეყრდნობოდეს, რასაც ამ კანონმდებლობის არარსებობა ხელს უშლის. აქედან გამომდინარე, ეს კანონი ისევე საჭიროა, როგორც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ორივე ერთად უნდა მუშაობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული ოლიგოპოლიური სტრუქტურები სულ უფრო მეტ ნიადაგს ქმნიან იმისთვის, რომ მომხმარებელმა რაც შეიძლება მეტი ფასი გადაიხადოს. თუ გვინდა თავისუფალი ეკონომიკა გვქონდეს, ეს კანონმდებლობა უნდა არსებობდეს. მსგავსი კანონმდებლობა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებშიც აქვთ, რადგან ის აუცილებელია, – ამბობს ავთო სილაგაძე.

– ანტიდემპინგური კანონმდებლობა ჩვენს პირობებში არ გაამართლებს, – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი მაკალათიამ.

– ამ კანონის მომხრეები თავიანთი პოზიციიდან ლაპარაკობენ. მისი მიღება ადგილობრივ კომპანიებს სურთ, რომ უცხოური კომპანიებისგან თავი დაიცვან. ანტიდემპინგური კანონი ქართულ ბაზარზე არაკონკურენტულ გარემოს შექმნის და მომხმარებელი წაგებული დარჩება. წარმოიდგინეთ: ბაზარზე შემოდის უცხოური კომპანია და ჩვენ მას ვეუბნებით, რომ პროდუქცია ადგილობრივ ფასზე ნაკლებად არ შემოიტანოს, ისიც იძულებული გახდება აქაური თამაშის წესები მიიღოს და თავისი პროდუქცია ძვირად გაყიდოს. საბოლოოდ ბაზარზე დარჩებიან ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც მომხმარებელს უხარისხო პროდუქტს შესთავაზებენ, თანაც, საკმაოდ ძვირად. ეს ხელს აძლევს მხოლოდ ადგილობრივ მწარმოებლებს, რომლებსაც კონკურენციისა ეშინიათ, – აღნიშნავს ირაკლი მაკალათია.

მისი აზრით, ამ შემთხვევაში ბაზარზე ის ფასი იქნება, რომელსაც ადგილობრივი მწარმოებლები დააწესებენ.

– კანონპროექტის მიღება უარესობისკენ შეცვლის სიტუაციას: გაზრდის მონოპოლიის დონეს ქვეყანაში, მოიმატებს ფასები და უხარისხო პროდუქცია, რადგან ადგილობრივ კომპანიებს არ ეყოლებათ კონკურენტი უცხოური კომპანიების სახით. კიდევ უფრო გაიზრდება მონოპოლისტური კომპანიების წილი ბაზარზე.

ყველაზე უფრო მტკივნეულად ეს პროცესი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე აისახება იმიტომ, რომ თურქეთიდან შემოსული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ არის სუბსიდირებული და უფრო იაფია. როგორ, მათ ავუკრძალოთ პროდუქციის დაბალი ფასით შემოტანა და ჩვენი მოსახლეობა შიმშილისთვის გავწიროთ? თუ იაფფასიან იმპორტირებულ პროდუქციას შევზღუდავთ, მომხმარებელს პროდუქტი გაუძვირდება. თუ გვინდა სოფლის მეურნეობა განვითარდეს, მიწა მოქალაქეების ხელში უნდა გადავიდეს და გლეხებს მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ თვითონ აწარმოონ დაბალი თვითღირებულების პროდუქტი. ქართველმა ფერმერმა ფასითაც და ხარისხითაც ღირსეული კონკურენცია უნდა გაუწიოს უცხოურ პროდუქციას – აქეთკენ უნდა წავიდეთ და არა – რეგულირების გამკაცრებისკენ, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.



# „გადასახადის გადამხდელები – საბანკო ოლიგოპოლიის ზემოგების მთავარი კონტრიბუტორები“

საბანკო ოლიგოპოლია თვიდან თვემდე ზემოგებების ახალ რეკორდებს გამოიმუშავებს. მიუხედავად დიდი ემოციური მუხტისა, რომელიც ყოველი თვის დასაწყისში ასეთ ნიუსებს უკავშირდება ხოლმე, გვიკითხავს ოდესმე: „როგორ? საიდან?“ – ამის შესახებ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ფინანსისტი დავით ასლანიშვილი წერს. „კომერსანტი“ პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– როგორც ცნობილია, ბუღალტრული მოგება ნებისმიერი კომერციული ბანკისთვის წარმოადგენს დადებით სხვაობას აქტივებიდან მიღებულ შემოსავალსა და პასივზე გაწეულ ხარჯებს შორის.

ახლა ერთი წუთით ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთ აქტივს წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მიცემული სესხი სახაზინო გამოშვებების, ე.ი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით, რომლებზეც შემოსავლიანობა თითქმის 10%-მდეა (გრძელვადიან ფასიან ქაღალდებზე პროცენტი მნიშვნელოვნად აღემატება 10%), და რომელსაც სახელმწიფო, ე.ი. საბოლოო ჯამში, გადასახადის გადამხდელი იხდის (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბლუმბერგის სქრინზე სახაზინოების სრული სია). ეროვნული ბანკის მიერ ბოლოს, 9 ივნისს ექსელის ფაილში განახლებული ინფორმაციის თანახმად, მოქმედი სახაზინო ვალდებულებების (მოკლევადიანი ბილები, საშუალო და გრძელვადიანი ობლიგაციები) მთლიანი მოცულობა შეადგენს 2,377 მლრდ ლარს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი 2,041 მლრდ ლარი (86%) საბანკო ოლიგოპოლიის ხელშია.

სახაზინო გამოშვებების პორტფელში ასეთი ასიმეტრიული განაწილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკს, რომლის უარყოფითი შედეგიც, საერთაშორისო და, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებით, სახელმწიფო ფინანსების და საბანკო სექტორის გაკოტრების ერთდროულობაში შეიძლება გადაიზარდოს. ე.ი. სახელმწიფოს მთავარ კრედიტორად საქართველოში გვევლინება საბანკო ოლიგოპოლია და არა კერძო სექტორი, რომლის წარმომადგენლებში – ე.ი. კერძო ბიზნესის და კერძო მომხმარებლების ხელში, არ არის გავრცელებული სახაზინო გამოშვებები.

ჩემი აზრით, ასეთი სტატუს-ქვო საქართველოში ჩამოყალიბდა იმიტომ, რომ 2011-2012 წლებში ეროვნულმა ბანკმა ფინანსთა სამინისტროს აახია (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!!!) ე.წ. სახაზინო სახლის ფუნქცია.

თვით განვითარებად ეკონომიკებში (აღარაფერს ვამბობ აშშ-ზე, ინგლისზე, ევროპის ქვეყნებზე, ავსტრალიაზე, იაპონიაზე) სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდები პირველად ბაზარზე, უმეტესად აუქციონის სახით, გამოაქვთ ფინანსთა სამინისტროებს, მათ სტრუქტურაში შემავალი სახაზინო ოფისების ან სახაზინო სახლების მიერ, ხოლო ცენტრალური ბანკები ასრულებენ მხოლოდ ანგარიშსწორების მომსახურებას (შეტტლემენტ ჩუსტოდყ შერვიცე).

საქართველოში საბანკო ოლიგოპოლიას, ეროვნული ბანკის დახმარებით, პირველადი კონკურენტული ბაზარი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აქვს ჩაკეტილი,და შექმნილ სასათბურე პირობებში გაცილებით ხელშეუშლელად გრძნობს თავს იმით, რომ სახაზინო აუქციონებს თავიდან ბოლომდე ეროვნული ბანკი ატარებს, რომელიც თავის მხრივ საბანკო ოლიგოპოლიის სასარგებლოდ ითავსებს სახაზინო სახლის ფუნქციებს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო და ამით ფაქტიურად მთავრობა აფსაითშია.

კაპიტალის ბაზრის განვითარების პროგრამა, რომელიც მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი კომპონენტია, აუცილებლად უნდა გულისხმობდეს სახაზინო სახლის ფუნქციის ჩამორთმევას ეროვნული ბანკისთვის და სახაზინო აუქციონების ჩატარებას უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ.

სწორედ ამ გზით შეიძლება იქნეს მიღწეული ის, რომ საბანკო ოლიგოპოლია აღარ იყოს ერთადერთი მონაწილე აუქციონში და აღარ იგრძნოს თავი სასათბურე პირობებში.

სწორედ ეს არის ერთადერთი გამოსავალი იმისთვის, რომ მთლიანი პორტფელი იყოს მაქსიმალურად დივერსიფიცირებული მფლობელთა მიხედვით, რომელთა შორის კომერციული ბანკებიც, თავად ეროვნული ბანკიც, უცხოელი ინვესტორებიც, მაგრამ უპირველესად ადგილობრივი კერძო სექტორი თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ. ჯერ უნდა მოხდეს პირველადი ბაზრის სრულყოფა, რომ შემდეგ მეორადი ბაზარიც ამუშავდეს! – წერს ასლანიშვილი.

# რა კავშირი აქვს ბიზნესმენის გატაცებას ზურაბ წერეთელთან

## კრიმინალური გარჩევები თბილისში

ხმაურიანი სპეცოპერაციის დეტალები. რა მოხდა სამშენებლო კომპანია ,,სვეტთან" დაკავშირებით.

ბიზნესმენი, რომელიც გუშინ ყიფშიძის ქუჩიდან გაიტაცეს და ფულის გამოძალვას ცდილობდნენ, სამშენებლო კომპანია „სვეტის" დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე?ა.

გივი ჯიბლაძის თქმით, მას საცხოვრებელ სახლთან 4 ნიღბიანი მამაკაცი დახვდა, რომლებიც მიკროავტობუსით გადაადგილდებოდნენ, ბიზნესმენი ამბობს, რომ თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ერთ-ერთ ავტოსადგომზე გადაიყვანეს. გამტაცებლები ჯიბლაძისგან იარაღის მუქარით, 150 ათასი დოლარის გადაცემას და 200 კვ.მ ფართის მათზე გადაფორმებას მოითხოვდნენ.

გატაცებული აცხადებს, რომ დაპირისპირება მოქანდაკე ზურაბ წერეთლის კომპანიის წარმომადგენლებთან ჰქონდა, ამიტომ ის ვარაუდობს, რომ სწორედ ამ კომპანიასთან დაკავშირებულმა პირებმა გაიტაცეს.

მისი თქმით, გატაცებამდე პირადი მცველები სახლში გაუშვა.

– მერსედესის მიკროავტობუსით იყვნენ, დამხვდა 4 პირი, კარები გაიღო და წამიყვანეს, შემდეგ ერთ-ერთ ავტოსადგომზე მივედით, სადაც საუბარი წავიდა. მე მეშოკი მქონდა თავზე წამოცმული, როცა ტომარა ამხადეს, პარტნიორ კომპანიასთან დაკავშირებული პირი, გიორგი ნიჟარაძე ვიცანი. მას, როგორც გიორგი ნიჟარაძეს, ისე ვიცნობდით, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის კახაბერ ბახტაძეა.

ჩვენ ბაკურიანში ერთ-ერთ პროექტს ვაკეთებთ, მიწა ზურაბ წერეთლის იყო, მისი წარმომადგენლების ახლობლები არიან. ჩვენ ასეთი პირობა გვქონდა, რომ აშენებულ ფართში კონკრეტული ქონება უნდა მიგვეცა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა ისე, რომ პიროვნებამ 150 000 მოითხოვა. კონტრაქტში ჩავწერეთ, რომ თანხა მშენებლობის ნებართვიდან სამ თვეში უნდა მიგვეცა. მშენებლობის ნებართვა ჯერჯერობით ვერ გაკეთდა. მერე იყო შემოთვლები, ჩარიეს ყველა. მათ უნდოდათ ორგანიზაციიდან ამ ფულის მითვისება. კომპანია არის ზურაბ წერეთლის, – აღნიშნა ჯიბლაძემ.

ბიზნესმენი ამბობს, რომ თავად ზურაბ წერეთელი არ იყო ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმირებული.

– დაკავებული მისი წარმომადგენლის ახლობელია, – აცხადებს ჯიბლაძე.

მისივე თქმით, გატაცების შემდეგ მის ოფისს ესროლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სასამართლო განჩინების საფუძველზე, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ლ.ჩ., 1977 წელს დაბადებული დ.ბ., 1973 წელს დაბადებული ნ.ბ. და 1980 წელს დაბადებული ნ.კ. გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.

სპეცოპერაცია სამ სხვადასხვა ლოკაციაზე ჩატარდა.

როგორც „ნიუპოსტს" სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ერთ-ერთ ბიზნესმენს 150.000 აშშ დოლარს სძალავდნენ და თავისი კუთვნილი 200 კვ.მ ფართის მათზე გადაფორმებას სთხოვდნენ.

❖ ❖ ❖

ბიზნესმენის გატაცებაში ბრალდებული ნიკოლოზ ბახტაძე და ლევან ჩქარეული ბრალს არ აღიარებენ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ბრალდებულების ადვოკატმა იმედა ბეროშვილმა განუცხადა.



ბეროშვილის ინფორმაციით, ბრალის წარდგენა ოფიციალურად ხვალ მოხდება. მისივე თქმით, არსებობს საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულები გამართლდნენ, თუმცა ამ დროისთვის დაცვის მხარეს იმის საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ გააჩნია, რასაც ბრალდება ედავება.

მისივე ინფორმაციით, საქმეში მტკიცებულების სახით არსებობს ფარული ვიდეოჩანაწერებიც, თუმცა იქ არაფერია არსებითი, რაც დაკავებულ პირთა ბრალეულობას დაადასტურებს.

ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარე ამ ეტაპზე არ იცნობს საქმის მასალებს, რის გამოც კონკრეტიკისგან თავს იკავებენ. შესაბამისი მასალების გადაგზავნას ხვალისთვის ვარაუდობენ.

– პირველი, რაც შემიძლია გითხრათ, ბრალდებულები ბრალს არ აღიარებენ. ბრალის წარდგენა ხვალ მოხდება. მასალები ჯერ არ გვაქვს გადმოცემული, შესაბამისად, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებთან გასაუბრებიდან გამომდინარე გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გამართლდებიან, თუმცა ჩვენ იმის საწინააღმდეგო მტკიცებულებები ჯერ არ გვაქვს, რასაც ბრალდება ედავება. როგორც ვიცით, წარმოებულია ფარული გადაღება, თუმცა იქ არაფერია არსებითი, რომ ბრალეულობა დადასტურდეს, – განაცხადა იმედა ბეროშვილმა.

# აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურა: „აფგან მუხთარლი თბილისში არ დაუკავებიათ"

– ინფორმაცია, თითქოს აფგან მუხთარლი თბილისში დააკავეს, სინამდვილეს არ შეესაბამება – აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურა აფგან მუხთარლის დაკავების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

განცხადების თანახმად, მილი მეჯლისის დეპუტატის, ელმან ნასიროვის განცხადება იმის შესახებ, რომ მუხთარლი თბილისში, აზერბაიჯანისა და საქართველოს სპეცსამსახურების ერთობლივი ძალისხმევით დააკავეს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– აზერბაიჯანელ სამართალდამცველებს ქართული მხრისთვის არ მიუმართავთ მუხთარლის დასაკავებლად. წინასწარი გამოძიების მსვლელობისას დადგენილია, რომ მუხთარლი დააკავეს 29 მაისს ბალაკენსკის რაიონში, როდესაც საქართველოდან აზერბაიჯანში გადასვლისას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა სურდა, – ნათქვამია განცხადებაში. უწყება აღნიშნავს, რომ გამოძიება გრძელდება, ხოლო მუხთარლის ქმედებებს მიეცემა შესაბამისი შეფასება.

❖ ❖ ❖

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ქართველი ადვოკატის ინფორმაციით, დაკითხული 200 მოწმიდან არც ერთს არ აქვს ინფორმაცია ჟურნალისტის გატაცების თაობაზე.

როგორც ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განაცხადა, მუხთარლის ინტერესების დამცველებს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის საშუალება დღეს მიეცათ.



მისივე თქმით, ადვოკატები ასევე გაეცნობიან იმ ვიდეომასალებს, რომელიც გამოძიებამ კამერებიდან ამოიღო.

– სისხლის სამართლის საქმე დაახლოებით 4 ტომია. დაკითხულია დაახლოებით 200 მოწმე, ოღონდ საგანგაშოა ის, რომ ამ მოწმეებიდან არავის არაფერი დაუნახავს და არაფერი იცის. ეს, ჩვენი აზრით, გამოძიების დროის ფუჭი ხარჯვაა. როგორც ვიცით, ამოღებულია ვიდეომასალა დაახლოებით 30 კამერიდან და როგორც გვეუბნებიან, ამ ვიდეომასალის გაცნობის შესაძლებლობაც მოგვეცემა. მაგრამ გადამწყვეტი აქ არის ის, რომ დროულად მოხდეს ამ ვიდეომასალის ანალიტიკური დამუშავება, რათა სატრანსპორტო საშუალებისა და იმ პირების იდენტიფიცირება მოხდეს, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა.

თუ ეს არ გაკეთდება, მხოლოდ იმ ხალხის დაკითხვა, ვინც არაფერი არ იცის, მომავალშიც დროის ფუჭი ხარჯვა იქნება. ჩვენ დღეს დაახლოებით ასეთი რამ დავინახეთ, რომ გამოძიება ტარდება იმისთვის, რომ არ ჩატარდეს გამოძიება. ჩვენ გვაქვს სურვილი დავრწმუნდეთ იმაში, რომ მართლაც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და თუ ჩვენი მხრიდან რამე იქნება საჭირო, მზად ვართ თანამშრომლობისთვის. ერთ-ერთი ვიდეოს ტექსტობრივ ანგარიშში ნათქვამია, რომ ზუსტად არის გადაღებული და დაფიქსირებული, თუ როგორ ჯდება აფგან მუხთარლი სამარშრუტო ტაქსში და მიემგზავრება საცხოვრებელი სახლისკენ, – განაცხადა ჩოფიკაშვილმა.

მისივე თქმით, ახლა გამოძიებამ უნდა ამოიღოს ლაგოდეხის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ვიდეოკამერის ჩანაწერები.

– ქართველი სამართალდამცველების მონაწილეობის გამორიცხვაზე პრემიერ-მინისტრის და სხვა ხელმძღვანელი პირების განცხადებების შემდეგ, რომელიც არავითარ მტკიცებულებებს არ ეყრდნობოდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ მთელი საგამოძიებო მოქმედებები მიმართულია ამ წინასწარ გაკეთებული დასკვნის გასამართლებლად, – აღნიშნა აფგან მუხთარლის ადვოკატმა.

❖ ❖ ❖

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ადვოკატის განცხადებას ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე პასუხობს. საქმე ეხება დაკავებული ჟურნალისტის და მისი მეუღლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხს.

– ნამდვილად არ იქნება კარგი, რომ გარკვეული იურიდიული ნიუანსები და ამ იურიდიული ნიუანსების განუმარტებლობიდან გამომდინარე, შეცდომაში შევიდნენ ოჯახის წევრები. რადგან, დაზარალებულის სტატუსის შეძენა არ ნიშნავს უფლებას, გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს შეტანილი ცვლილებების თანახმად და დღეს ეს ხარვეზი არ არის გამოსწორებული, პირადად ჩემი აზრია, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საქმის მასალების გაცნობის უფლება. შესაბამისად, ეს დაზარალებულის სტატუსი ასეთ უფლებას ცალსახად არ სძენს დაზარალებულ მხარეს, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

აფგან მუხთარლის ადვოკატი, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას სასამართლოსგან ითხოვს. აღნიშნული მოთხოვნით, იურისტებმა პროკურატურასაც მიმართეს, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

# ვალეში ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი აღმოაჩინეს

ვალეში ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდი აღმოაჩინეს. ინფორმაციას, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 4 ივნისს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ვალე", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ცეცხლსასროლი იარაღის ერთი მჭიდი, 15 ცალი საბრძოლო ვაზნით აღმოაჩინეს.

არსებული მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამმართველოს ადიგენის განყოფილებას გადაეცა.




# პროკურატურამ „ბირჟა მაფიას" წევრების დაკავებაში მონაწილე პოლიციელები დაკითხა

გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფ „ბირჟა მაფიას" წევრების მიხეილ მგალობლიშვილისა და გიორგი ქებურიას დაკავებაში მონაწილე პოლიციელები საგამოძიებო უწყებამ უკვე დაკითხა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურაში დეტალურ კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა, როგორც „ნიუპოსტს" უწყებაში განუცხადეს, ამ საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს და დაიკითხება ყველა პირი, რომელსაც ამ საქმესთან შემხებლობა აქვს.

მიხეილ მგალობლიშვილი და გიორგი ქებურია პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის დააკავა, თუმცა თავად დაკავებულები ამ ბრალდებას არ ეთანხმებოდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი დაკავება მათ მიერ გადაღებულ კლიპს უკავშირდებოდა, რომელშიც პოლიცია ჰყავდათ გაშარჟებული. რეპრესიული ნარკოპოლიტიკით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად შეაფასა მათი დაკავება სამოქალაქო სექტორმაც და თბილისში, პარლამენტის წინ მრავალათასიანი საპროტესტო აქციაც გაიმართა.

„ბირჟა მაფიას" წევრები სააპელაციო სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. პროკურატურამ დაკავებაში მონაწილე პოლიციელების მიმართ კი უფლებამოსილების გადაჭარბების მუხლით გამოძიება დაიწყო.



# ამერიკელი კანონმდებლები რუსეთს სანქციებს უმკაცრებენ

## პოლონელი ექსპერტები: „დასავლეთი რუსეთთან საბრძოლველად მზად არ აღმოჩნდა“

მარიამ მჭედლიშვილი



ამერიკელი სენატორები ორივე პარტიიდან შეთანხმდნენ, რომ რუსეთს ახალი სანქციები უნდა დაუწესდეს. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ამ კვირაში იგეგმება.

რუსეთისთვის ახალი სანქციების შემოღებაზე აშშ-ის სენატში დიდი ხანია მსჯელობენ. ცოტა ხნის წინ საუბარი იყო ახალი შეზღუდვების შემოღებაზე რუსეთისა და ირანისათვის სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის მხარდაჭერის გამო. ირანის საწინააღმდეგო სანქციები სენატმა უკვე მოიწონა.

ამჯერად სენატორები რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებზე შეთანხმდნენ. კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა არ დასრულებულა. დემოკრატები რუსეთის მიმართ უფრო მკაცრ მიდგომას ემხრობიან.

სენატში თანხმდებიან იმაზე, რომ თეთრ სახლს არ უნდა მიეცეს რუსეთისათვის სანქციების შერბილების ან მოხსნის უფლება. ამგვარი მცდელობების დაბლოკვის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს სენატს.

ახალ სანქციებს ხსნიან იმით, რომ რუსეთმა დაარღვია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა ყირიმში, ჩაერია 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში და აგრძელებს აგრესიას სირიაში.

– კონგრესის ყოველი წევრი, რომელიც არ მიისწრაფვის, დასაჯოს რუსეთი იმის გამო, რაც მან ჩაიდინა, ღალატობს დემოკრატიას, – აცხადებს რესპუბლიკელი სენატორი ლინდსი გრემი.

მისი თქმით, თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამ კანონს ხელს არ მოაწერს, იგი უღალატებს დემოკრატიას.

სენატორები პირობას დებენ, რომ თუ დონალდ ტრამპმა კანონს ვეტო დაადო, ისინი მას დაძლევენ.

დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციას არაერთი სენატორი უპირისპირდება. კანონმდებლების ნაწილი პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყების მომხრეა.

იმპიჩმენტი მოსალოდნელია მაშინ, თუ დამტკიცდა, რომ დონალდ ტრამპს კრემლთან წინასაარჩევნო პერიოდში კავშირი ჰქონდა.

აშშ და ევროკავშირი რუსეთის ხელისუფლებას ახალი პრობლემის გამოც აკრიტიკებენ. დასავლეთი მოითხოვს 12 ივნისს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გამართული ანტიკორუფციული მიტინგების მონაწილეთა გათავისუფლებას. ოფიციალური მონაცემებით, დაკავებულია 650-ზე მეტი მომიტინგე.

აშშ-ზე თავდასხმას აგრძელებს რუსეთის პრეზიდენტიც. ოლივერ სტოუნის ფილმისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“ და ოსამა ბენ ლადენი აშშ-ის სპეცსამსახურების საქმიანობის შედეგია.

პუტინის თქმით, ეს დაიწყო საბჭოთა ეპოქაში ავღანეთში, როცა ამერიკული სპეცსამსახურები მხარს უჭერდნენ ისლამური ფუნდამენტალიზმის სხვადასხვა მიმართულებას საბჭოთა ჯართან ბრძოლისას.

პოლონელი ექსპერტების აზრით, დღეს დასავლეთი რუსეთთან საბრძოლველად მზად არ აღმოჩნდა. მესამე მსოფლიო ომი გამოუცხადებლად მიმდინარეობს. რუსეთი საზღვრებზე შეჯახებების ფაზიდან გადადის უშუალო ბრძოლაზე.

ანალიტიკოსების თქმით, რუსეთი ამ ბრძოლაში იყენებს არა მარტო „მწვანე“ და „ვირტუალურ“ კაცუნებს, არამედ, კონფლიქტების კერებსაც. ეს კერები პუტინმა ადრე აღმოაჩინა ან გააღვივა.

# ალექსეი ნავალნის პატიმრობა მიესაჯა



რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის სასამართლომ 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამის მიზეზი მასობრივი ღონისძიებების განმეორებითი ორგანიზება და პოლიციელების მიმართ დაუმორჩილებლობაა, თუმცა რუსეთში საუბრობენ, რომ ნავალნის ხელისუფლება ავიწროებს, რადგან მათთვის ის საფრთხეს წარმოადგენს.

ამ დღეებში რუსეთის რამდენიმე ქალაქში მასობრივი აქციები მიმდინარეობდა, რომელთა ორგანიზატორიც სწორედ ალექსეი ნავალნი იყო. აქციის მონაწილეები რუსეთის მთავრობაში არსებულ კორუფციას აპროტესტებდნენ და პოლიციამ ამ აქციებზე 1.000-ზე მეტი ადამიანი დააკავა. ნავალნიმ განაცხადა, რომ ის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# რუსეთის დღე მასობრივი დაკავებებით აღინიშნა

## უკრაინელებმა მოსკოვს რუსეთის დღე „მიულოცეს“

1990 წლის 12 ივნისს რუსეთის პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ, 1992 წლიდან კი ეს თარიღი ოფიციალურად აღინიშნება. მას რუსეთის დღესაც უწოდებენ. წელს ის განსაკუთრებით ბობოქარი გამოდგა.

რუსი ჟურნალისტი დოლგოვი აცხადებდა, რომ 12 ივნისისათვის მარიუპოლზე რუსეთის დროშა აღიმართებოდა. რუსი ოკუპანტები და მათი დამქაში სეპარატისტები ამას მართლაც შეეცადნენ. მდგომარეობა განსაკუთრებით 8-12 ივნისისათვის დაიძაბა.



ცხარე ბრძოლების შედეგად დაიღუპა 6 უკრაინელი და 22 რუსი ჯარისკაცი. უკრაინელებმა ყველა დაკავებული პოზიცია შეინარჩუნეს. ეს თანაბრად შეეხება როგორც სტრატეგიულ სიმაღლეებს, ასევე ბახმუტის ტრასასაც, რომელიც მთლიანად უკრაინელების კონტროლქვეშ იმყოფება.

– ესოდენ დიდი დანაკარგი ჩვენს რიგებში კარგა ხანია არ ყოფილა, – აცხადებს დონბასელ სეპარატისტთა მეთაური ზახარჩენკო.

მეორე „მოლოცვა“ უკვე მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. უკრაინა-ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმი რეალურად ამოქმედდა და ევროკავშირისკენ უკრაინელი ტურისტების პირველი ნაკადი დაიძრა.

არანაკლებ ბობოქარი მოვლენები განვითარდა თავად რუსეთის ტერიტორიაზეც.

რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერის ნავალნის ინიციატივით რფ-ს მთელს ტერიტორიაზე ანტიკორუფციული მარშები ჩატარდა.

ხელისუფლება ყოველნაირად შეეცადა, ამისთვის ხელი შეეშალა. აქციების დაწყებამდე ნავალნი დააკავეს. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. მოსკოვში საპროტესტო აქციაზე 15.000 ადამიანი გამოვიდა, პეტერბურგში – 10.000. აქციები ჩატარდა სარატოვში, უფაში, ეკატერინბურგში და ა.შ.

ხელისუფლებამ მანიფესტანტებს პოლიცია მიუსია. ქუჩებში ნამდვილი ცემა-ტყეპა გაიმართა. აქციების დაშლას მანიფესტანტების მასობრივი დაკავებები მოჰყვა. მოსკოვში დაკავებულია 500 ადამიანი, პეტერბურგში – 600. სულ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებულთა ოდენობამ 12.000-ს მიაღწია.

– რუსეთის ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ მოქალაქეებს შეკრებებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ის, რაც 12 ივნისს მოხდა, ვერანაირ ცივილიზებულ ჩარჩებში ვერ ჯდება, – განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა სპეისერმა.

რუსეთის ხელისუფლებას აზრის თავისუფლად გამოხატვისა ეშინია. 12 ივნისმა ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

# ვენესუელა: უმაღლესი სასამართლოს შენობას ცეცხლი წაუკიდეს

ვენესუელის ოპოზიციამ საპროტესტო აქცია უმაღლესი სასამართლოს შენობასთან მოაწყო.

პოლიციამ მანიფესტანტების დაშლა სცადა, მათ კი ძალოვანებს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს.

შედეგად შენობას ცეცხლი მოედო.

ხანძარი მოგვიანებით ჩააქრეს.

# აშშ-ის სენატი რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს

აშშ-ის სენატში დასრულდა დისკუსიები რუსეთის მიმართ სანქციების შემოღების თაობაზე. სენატორების უმრავლესობა ასეთი სანქციების დაწესებას მხარს უჭერს. კენჭისყრა ამ თემაზე კვირის ბოლოს გაიმართება.

– სანქციების გამკაცრება განაპირობა რუსეთის აგრესიამ უკრაინასა და სირიაში, აგრეთვე ჩვენს არჩევნებში ჩარევამ, – განაცხადა სენატში რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერმა მიტჩ მაკონელმა.

კანონპროექტი შეიცავს მუხლს, რომელიც კონგრესს უფლებას აძლევს, დაბლოკოს ტრამპის ადმინისტრაციის ყველა მცდელობა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შესუსტების ან გაუქმების თაობაზე.

– არა მგონია, რომ ტრამპმა სანქციების გაუქმება ან შესუსტება მოისურვოს, მაგრამ თუკი მოინდომა, ამას ფიზიკურად ველარ შეძლებს, – თქვა მაკონელმა.

# პანამამ ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა

პანამამ ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა.

ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი და ეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაა.

ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით პანამამ მხარი პეკინს დაუჭირა.



# მიწისძვრა საბერძნეთში

კუნძულ ლესბოსზე (საბერძნეთი) მიწისძვრა მოხდა. დანგრეულია ათობით სახლი. არიან დაშავებულნი. ზოგიერთი მათგანი ჰოსპიტალიზებულია. მიწისქვეშა ბიძგები თურქეთის ტერიტორიაზეც შეიგრძნობოდა, განსაკუთრებით სტამბოლში.

# ტერეზა მეი: „შევცდი, მაგრამ არ გადავდგები“



ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი დეპუტატ-კონსერვატორებს შეხვდა.

პრემიერმა აღიარა, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარებით შეცდომა დაუშვა. ამავე დროს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადადგომას არ აპირებს.

– ამ ორომტრიალში პარტია მე ჩავითრიე და მისგან მევე გამოვიყვან! – თქვა მეიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# თეოდორა კახიანი ევროპის ჩემპიონია



ახალი თბილისის ტერიტორიაზე მდებარე ტანვარჯიშის დარბაზში დაიწყო ფარიკაობის ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას 40 ქვეყნის 408 სპორტსმენი იღებს.

პირველივე დღეს საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი ოქროს მედლით გახსნა – თეოდორა კახიანი კონტინენტის საუკეთესო მოფარიკავე გახდა.

ქართველმა მოფარიკავემ ნახევარფინალური შეხვედრა უნგრელ ლიზა პუსტალს 15:12 მოუგო, ფინალურ დაპირისპირებაში კი იტალიელი როსელა გრეგორიო 15:8 დაამარცხა. ამ დრომდე ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონი არ გვყოლია! თეოდორა კახიანმა ისტორიული ოქროს მედალი მოიპოვა!

საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე 22 სპორტსმენით წარდგება. მედლები ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებაში, ხმლით და რაპირით ფარიკაობაში გათამაშდება.

საქართველოს ნაკრების ლიდერი, რიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე სანდრო ბაზაძე ბილიკზე 15 ივნისს გავა და მედლისთვის ხმლით ფარიკაობაში იბრძოლებს.

# ზაზა ფაჩულია ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონია

ზაზა ფაჩულია მსოფლიოს ჩემპიონია – სწორედ ასე უწოდებენ ამერიკელები ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გამარჯვებულს და რეალურადაც ასეა: ნბა გახლავთ მსოფლიოს უძლიერესი ლიგა, სადაც თავი მოყრილი აქვთ პლანეტის საუკეთესო მოთამაშეებს. პირველად, ისტორიაში, ამერიკის ნაციონალური პროფესიული ლიგის გამარჯვებული ქართველი კალათბურთელი გახდა.

ფაჩულიამ ის საჩემპიონო ბეჭედი მოირგო, რომელიც ოცნებად დარჩა ისეთი დიადი კალათბურთელებისთვის, როგორებიც არიან: კარლ მელოუნი, ჩარლზ ბარკლი, ჯონ სტოქტონი, ელჯინ ბეილორი, დომინიკ უილკინსი, პატრიკ იუინგი, ალენ აივერსონი და სხვანი. ფაჩულიასთან ერთად ჩემპიონობა მოიპოვა ზემოთ ჩამოთვლილ უბეჭდო დიდ კალათბურთელთა სიაში აქამდე მყოფმა კევინ დიურანტმა, რომელიც ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახლდათ და დაჯილდოების ცერემონიალზე პლეი ოფის მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა.

გოლდენ სტეიტი ფინალურ სერიაში 3:1 უგებდა ლებრონ ჯეიმსის კლივლენდს და ეს შესანიშნავი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. დიურანტის წინამძღოლობით, რომელმაც საბოლოოდ 39 ქულა მოიპოვა, ოკლენდელებმა 129:120 დაამარცხეს ლებრონის გუნდი და ჩემპიონები გახდნენ. ბოლო 3 სეზონში მხოლოდ ეს გუნდები იყვნენ ფინალში და გოლდენსტეიტელებმა პირველობა მეორედ იზეიმეს.

გადამწყვეტი მეორე მეოთხედი იყო. კალიფორნიელებმა 15:0 გაქცევა მოაწყვეს და ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. ჩემპიონობის მომტან მატჩში ქართველმა ცენტრმა 10 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 3 მოხსნა (ყველა მეტოქის ფარზე) და 1 შედეგიანი პასი მიითვალა. ორმაგი დუბლი მიითვალა სტეფ კარიმ – 34 ქულა, 10 პასი. ხოლო კლივლენდელებს ლებრონ ჯეიმსის 41 ქულამ, 13 მოხსნამ და 8 პასმა ვერ უშველა.

ზაზა ფაჩულიას მაქსიმალური შედეგი აქამდე პლეი ოფის მეორე რაუნდი, ანუ ლიგის საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრა იყო, რომელიც მან 9 წლის წინ ატლანტა ჰოუქსის შემადგენლობაში მოახერხა. ზაზამ ძლიერი 2015-16 წლების სეზონი ჩაატარა დალასში, რის შემდეგაც საჩემპიონოდ მომართულ გოლდენ სტეიტში გადავიდა და მსოფლიოს ყველა კალათბურთელისთვის საოცნებო ნბა-ს საჩემპიონო ბეჭედი მოირგო.



– ბედნიერი ვარ, ესოდენ წარმატებით ჩემი ქვეყნის წარმოდგენის საშუალება რომ მომეცა. საჩემპიონო ბეჭედი და თასი საქართველოშიც ჩავა, – განუცხადა ზაზამ ამერიკელ ჟურნალისტებს.

ასე და ამგვარად, გოლდენ სტეიტმა აწ უკვე გასრულებულ პლეი ოფში 16 მატჩი მოიგო და ერთადერთი წააგო. უწინ ასეთი შედეგი მხოლოდ ფილადელფია სიქსერზსა (1983) და ლოს ანჯელეს ლეიკერსს (2001) ჰქონდათ. უკვე დასრულებულ სეზონში ოკლენდელებმა „მშრალად“ მოუგეს პორტლენდს, იუტასა და სან ანტონიოს. კლივლენდთან კი მხოლოდ ერთხელ წააგეს – სერიის მეოთხე შეხვედრა (116:137).

# საქართველოს კალათბურთელთა ბ ნაკრებმა შეკრება დაიწყო

საქართველოს ბ ნაკრები დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის ხელმძღვანელობით შეიკრიბა. ნაკრებში 14 მოთამაშე გამოიძახეს, რომლებმაც თავი საკალათბურთო აკადემიაში მოიყარეს და პირველი ვარჯიში გამართეს.

ბ ნაკრების დანიშნულება ის გახლავთ, რომ ეროვნული გუნდის შესაძლო კანდიდატები, რომლებსაც კარგი სეზონი ჰქონდათ და ძირითად ნაკრებში ამ ეტაპზე ვერ მოხვდნენ, ზაფხულის მანძილზე ფორმაში იყვნენ. გასულ წელს ბ ნაკრებიდან ეროვნულში 3 კალათბურთელი გადავიდა, რომელთაგან 2 ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. ბ ნაკრებში წლეულსაც მოიაზრებიან ეროვნულ ნაკრებში გადასვლის კანდიდატები და ეს საკითხი ჩინური შეკრების შემდეგ გაირკვევა.

შარშანდელის მსგავსად, უსტიაშვილის გუნდი წლეულსაც ჩინეთში გაივლის შეკრებას, სადაც რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჩინური ტურნირების კალენდარი უახლოეს დღეებში საბოლოოდ გახდება ცნობილი. მანამდე კი ჩვენი ნაკრები წვრთნას განაგრძობს და ჩინეთში 26 ივნისს გაემგზავრება, საქართველოში კი, 18 ივლისს დაბრუნდება. თუ მანამდე მწვრთნელები გადაწყვეტილებას მიიღებენ, ბ ნაკრების წევრები თბილისში ჩამოვლენ და ეროვნულ ნაკრებს 15 ივლისს სლოვენიურ შეკრებაზე გაჰყვებიან.

**დავით უსტიაშვილი, ბ ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– შევიკრიბეთ 14 მოთამაშე. აქედან რომ რამდენიმეს, როგორც შარშან, ვთქვათ, ჩინეთიდან რომ გაემგზავრა ეროვნულ ნაკრებში, თუკი ეროვნულის მწვრთნელები გადაწყვეტენ, წლეულსაც ექნებათ ამის შანსი. ჩინეთში 22 დღით მივემგზავრებით. ვფიქრობ, იქ საკმაოდ საინტერესო და ბევრი თამაში იქნება. მატჩების განრიგი და რაოდენობა ამ დღეებში დაკონკრეტდება. ვფიქრობ, რომ მინიმუმ 10 თამაშს გავმართავთ, შესაძლოა, მეტსაც. გუნდში ბევრი ახალგაზრდა, ბევრი გამოცდილი მოთამაშეა, რომლებსაც წაადგებათ ეს მატჩები. შემდეგ უკვე, შეკრების დასასრულისკენ ვნახავთ, თუკი ეროვნული ნაკრების მწვრთნელები ვინმეს შეარჩევენ, ის მოთამაშეები ადრე დატოვებენ ჩინეთს.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ჩინეთში 14 კალათბურთელი გაემგზავრება.

# ხელბურთელთა ნაკრებმა ბულგარული ტურნირი მარცხით დაიწყო

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა, რომელიც მთლიანად ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის, მარცხით დაიწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარებადი ქვეყნების ჩემპიონატი. ბექა ორჯონიკიძის გაწვრთნილმა გუნდმა ბულგარეთის ქალაქ ველიკო ტირნოვოში 29:35 წააგო ლუქსემბურგთან. ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში ბრიტანეთს ვეთამაშებით, ხვალ – მალტას. ჯგუფიდან მეოთხედფინალში 2 გუნდი გადის.

ტურნირზე ასეთი ასაკობრივი შეზღუდვაა – თამაშობენ ხელბურთელები, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 25 წელი, მწვრთნელებს კი 3 უფროსი მოთამაშის დამატებაც შეუძლიათ. რადგანაც ტურნირზე მთავარი ჯილდოს გარდა თამაშდება ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარი საკვალიფიკაციო რაუნდის 3 საგზური, ამ უფლებას ყველა იყენებს. შესაბამისად, თითქმის ყველა ნაკრები ფაქტიურად ეროვნული გუნდით გამოდის.

ჩვენს გუნდში კი განსხვავებული სიტუაციაა. რადგანაც სეზონის ბოლო ნაკრების ლიდერების უმეტესობა ტრავმირებული იყო, მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, ბულგარეთში წაეყვანათ 19-წლამდელ ჭაბუკთა ნაკრები, რომელსაც აგვისტოში თბილისში მსოფლიო ჩემპიონატი აქვს. დაგვემატა მხოლოდ ორი უფროსი – 20 წლის



დიხამინჯია და 21 წლის ორჯონიკიძე.

ჭაბუკებმა იბრძოლეს და მხოლოდ ბოლოში გატყდნენ. ჩვენები პირველ ტაიმში რამდენჯერმე იყვნენ წინ. ბოლოს თამაშში კარგად ჩართულმა ბულბულაშვილმა დაგვაწინაურა – 8:7, მაგრამ აქ მეტოქემ მცირე სპურტი მოგვიწყო, 14:10 დაწინაურდა და ტაიმი 18:14 მოიგო.

შესვენების შემდეგ ორჯონიკიძემ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა (18:19), გამთამაშებელმა ბაინაზიშვილმა კიდევ ორჯერ დაგვაახლოვა მეტოქეს, ლუქსემბურგმა კი საბოლოოდ 53-ე წუთზე, ზედიზედ სამი გოლის შემდეგ დაიბევა მოგება, როცა 5 ბურთით გავიდა წინ – 30:25.

მეტოქემ აშკარად გვაჯობა პივოტის პოზიციაზე, სადაც ძალიან ხშირად ორი მოთამაშე ეყენა და ჯამში 6 მეტრიდან 13 გოლი გაგვიტანა. ეს ძირითადად გამთამაშებელ ალენ ზეკანის (6 გოლი, 9 პასი) კარგი გარჯის შედეგი იყო.

ზეკანი ლუქსემბურგელთა მხრიდან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ჩვენგან გამოარჩიეს 16 წლის გიორგი ცხოვრებაძე, რომელმაც ორჯონიკიძესთან ერთად ჩვენგან ყველაზე მეტი – 6 გოლი გაიტანა.

მე-2 ტურში მეოთხედფინალში გასასვლელად ჩვენებს პრინციპული მატჩი აქვთ დიდ ბრიტანეთთან, ბოლოს კი მალტას ვეთამაშებით.

ბექა ორჯონიკიძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ჩვენ ჭაბუკთა გუნდით ვართ ჩამოსული და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადებით. კმაყოფილი ვარ, რომ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ უამრავი შეცდომა დავუშვით. ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი, თუმცა, მოსაგები თამაშებიც გვექნება. ჩვენი კონკრეტული მიზანი ჯგუფიდან გასვლაა.

სანდრო ხანდოლიშვილი, საქართველოს ნაკრების ხელბურთელი:

– კმაყოფილი არ ვარ. წავაგეთ, თუმცა, ამ მატჩში კარგი მომენტებიც გვქონდა. ჯგუფიდან გასვლა გვინდა და რაც შეიძლება კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ. არ ვიცი, სადამდე მივალთ, რადგანაც ახალგაზრდა გუნდი გვყავს, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და წინასწარ არავის არ დავნებდებით.

# ახალგაზრდული ნაკრები ბულგარეთთან და ჩერნოგორიასთან დამარცხდა

საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის 2 მოსამზადებელი მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა.

გია გეგუჩაძის გუნდმა ჯერ ბულგარელ თანატოლებთან წააგეს 0:1, შემდეგ კი, ჩერნოგორიას დაუპირისპირდა და მინიმალური სხვაობით 2:3 დამარცხდა.

ბულგარელებთან შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 74-ე წუთზე კრისტიან პეშოვმა გაიტანა.

ჩერნოგორიელებთან კი ორჯერ ვიგებდით: ანგარიში მე-13 წუთზე ქართველთა კაპიტანმა, გიორგი ხარაიშვილმა გახსნა, თუმცა მეტოქემ ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, პენალტის მეშვეობით გაათანაბრა.

გია გეგუჩაძის შეგირდები მე-60 წუთისთვის ხელახლა დაწინაურდნენ. დუბლი გაიფორმა გიორგი ხარაიშვილმა.

ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და დამარცხდა. ბექა ქურდაძის კარში 2 გოლი 79-ე და 89-ე წუთებზე გავიდა...

# ტურინელთა სატრანსფერო გეგმები მოედნის ცენტრს უკავშირდება

იტალიური მედიის მტკიცებით, ტურინელებმა სევილიელებს წინადადებით მიმართეს – ბიანკონერის ხელმძღვანელობამ ესპანურ მხარეს სტივენ ნზონზის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შესთავაზა.

როგორც აპენინური მედია იუწყება, ტურინელები ანდალუსიას ეწვევიან და მაქსიმალურად ეცდებიან, ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტონ.

თუმცა, გეტყვით იმასაც, რომ ნზონზი კონტრაქტში გამოსასყიდი პუნქტი არის 40 მილიონი, რომლის გადახდასაც ბიანკონერის პირველი პირები არ აპირებენ.

ტურინელები ლესტერის ნახევარმცველით, რიად მარეზის ტრანსფერით დაინტერესდნენ. ფეხბურთელის მიმართ იუვე ყურადღებას ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ იჩენდა, მაგრამ მაშინ შემტევმა ლესტერში დარჩენა ამჯობინა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ მარეზის პრეზიდენტთან სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდა დადებული, რომ კიდევ ერთ სეზონს ლესტერში გაატარებდა, რის შემდეგ კლუბი თავისუფლად წასვლის საშუალებას მისცემდა.

ცენტრალური ნახევარდაცვა და ფლანგები – ეს 2 პოზიცია ტურინელთათვის, როგორც ჩანს პრიორიტეტულია... ცენტრალურ შუახაზელებთან დაკავშირებით უკვე მოგახსენეთ, ახლა ჯერი ფლანგებზეა.

სიას დუგლას კოშტა მყარად ლიდერობს. მიზეზი მისი სატრანსფერო ღირებულება და სათამაშო მახასიათებლებია. ბრაზილიელის ტრანსფერი ტურინს 40 მილიონ ევრომდე დაუჯდება. ალტერნატიულ ვარიანტებად კვლავინდებურად ფედერიკო ბერნანდესკი და ანხელ დი მარია სახელდებიან.

# სატრანსფერო ალიაქოთი ალექსის სანჩესის ირგვლივ




დიდი ამბებია ატეხილი ალექსის სანჩესის ირგვლივ. ინგლისური მედია ვარაუდობს, რომ არსენალი ჩილელი ფეხბურთელის ტრანსფერს მანჩესტერ სიტიში დაბლოკავს და მისი ერთადერთი გასაქცევი ადგილი მიუნხენის ბაიერნი გახდება.

როგორც ჩანს, არსენალს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი საკვანძო ფეხბურთელი პრემიერლიგაში არ გაყიდოს, იმის მიუხედავად, რომ სიტი მზადაა ბავარიული კლუბის შეთავაზება გამოისყიდოს.

28 წლის ჩილელ თავდამსხმელს მეთოფეებთან 2018 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, ამჟამინდელი მისი ხელფასი კვირაში 130.000 გირვანქა სტერლინგს უტოლდება, ახალი კონტრაქტით კი არსენალი მზადაა კვირაში თავის თავდამსხმელს 275.000 გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს.

მანჩესტერ სიტი თავის მხრივ მზადაა 50 მილიონი გირვანქა გადაუხადოს არსენალს, რადგან პეპ გვარდიოლას დიდი სურვილი აქვს სანჩესი მისი გუნდის ნაწილი გახდეს.

სიტიმ უკვე 78 მილიონი გირვანქა დახარჯა 2 მთავარი მიზნის – ედერსონისა და ბერნარდო სილვის შეძენისათვის და გუნდის გაძლიერებას კვლავაც აგრძელებს, „ქალაქელების“ მორიგი სამიზნე კაილი უოკერია და ასევე მარცხენა მცველის შეძენა აქვთ გადაწყვეტილი.

თუმცა, მანჩესტერელთა პრიორიტეტი სანჩესის შეძენაა და სჯერათ, რომ ფეხბურთელის სურვილიც მათ სურვილებს ემთხვევა.

„მეთოფეების“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უკვე განაცხადა, რომ ისინი მზად არიან მომავალ სეზონზე თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვან ალექსის სანჩესი, ვიდრე ამ საზაფხულო ტრანსფერის განმავლობაში ის მანჩესტერ სიტიში ან ჩელსიში გაუშვან.

არსენალს დღემდე არ დაუკარგავს იმედი სანჩესის შენარჩუნებაზე, რომელიც გასულ სეზონში ბომბარდირი გახდა 22 გოლით და მის თანაგუნდელ მესუთ ოზილსაც გაუკეთეს მეგა სახელფასო შეთავაზება კონტრაქტის გახანგრძლივების შემთხვევაში.

თავის მხრივ ბაიერნმა უკვე გააკეთა თავისი შეთავაზება ალექსის სანჩესის თაობაზე, მაგრამ გერმანული გიგანტი შიშობს, რომ ფეხბურთელი პრემიერლიგაში დარჩენას ამჯობინებს.

ინგლისის ნაკრებისა და არსენალის ყოფილმა ფეხბურთელმა იან რაიტმა საინტერესო (უფრო სასაცილო) კომენტარი გააკეთა ალექსის სანჩესით ბავარიელთა დაინტერესების თაობაზე.

რაიტი თვლის, რომ „მეთოფეებმა“ გერმანულ კლუბს გაცვლა უნდა შესთავაზონ, კერძოდ კი, ჩილელი ფეხბურთელი, რეკორდმაისტერის პოლონელ თავდამსხმელზე, რობერტ ლევანდოვსკიზე გაცვალონ.

თუმცა რაიტს იმედგაცრუება ელოდება, რადგან ისეთი ფეხბურთელი, როგორიც რობერტ ლევანდოვსკია, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენილ კლუბში გადასვლას ნამდვილად არ ისურვებს.

## შედეგები

**12 ივნისი**

**ფეხბურთი**

**მჩ 2018. შესარჩევი ეტაპი**

**აზია**

| | |
|---|---|
| ირანი-უზბეკეთი | 2:0 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| მექსიკა-აშშ | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

ბელარუსი-ახ.ზელანდია 1:0

ლატვია-ესტონეთი 1:2

**ეჩ 2019. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-კოსოვო | 5:0 |
| ალბანეთი-ესტონეთი | 0:0 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-საბერძნეთი | 0:1 |
| ავსტრია-უნგრეთი | 2:1 |
| ჩერნოგორია-საქართველო | 3:2 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა



# როგორ მოვიქცეთ დამწვრობის დროს

ეკა ირემაშვილი

დამწვრობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაზიანებაა ბავშვებში. განასხვავებენ თერმულ, ქიმიურ, ელექტრო და სხივურ დამწვრობებს.

რა სახის დამწვრობები არსებობს, როგორია გავრცელებული შეცდომები და როგორ მოვიქცეთ დამწვრობის დროს, ამ თემებზე იაშვილის კლინიკის გადაუდებელი დახმარებისა და ობსერვაციული მიმართულების ხელმძღვანელი ლალი ქაშიაშვილი საუბრობს.

**ლალი ქაშიაშვილი:**

– დამწვრობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაზიანებაა ბავშვებში. განასხვავებენ თერმულ, ქიმიურ, ელექტრო და სხივურ დამწვრობებს.

თერმულ დაზიანებას იწვევს მაღალი ტემპერატურა, ცეცხლის ალი, ცხელი ადუღებული სითხე, გავარვარებული მკვრივი საგნები – მაგალითად, უთო, ორთქლი, მზის სხივები და სხვა.

დამწვრობის სიმძიმეს განსაზღვრავს დამწვრობის ზედაპირის სიდიდე და სიღრმე. რაც უფრო ფართო და ღრმაა დამწვარი ზედაპირი, იგი მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს.

მშობელმა უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს დამწვრობის პირველსავე წუთებში, რადგან არასწორად გაწეული პირველადი დახმარება ხელს უშლის დამწვრობის შემდგომ მკურნალობას, ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას და ზოგჯერ სავალალო შედეგსაც იწვევს.

***– რამდენი ხარისხის დამწვრობა არსებობს?***

– არჩევენ 4 ხარისხის დამწვრობას: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის დამწვრობა.

პირველი ხარისხის დამწვრობის დროს მხოლოდ კანის ზედაპირული შრე – ეპიდერმისი ზიანდება. ახასიათებს კანის შეწითლება, შეშუპება და ტკივილი.

მეორე ხარისხის დამწვრობის დროს კანის დაზიანება უფრო ღრმა შრეს – დერმასაც მოიცავს. მისი ზერელე შრის ეპიდერმისის ქვეშ გროვდება გამჭვირვალე სითხე, წარმოიქმნება ე.წ. ბუშტუკები, რომელიც დაინფიცირების შედეგად შეიძლება დაჩირქდეს.

მესამე ხარისხის დამწვრობა კანისა და მის ქვეშ მდებარე ქსოვილების ღრმა დაზიანებას გულისხმობს. აღინიშნება ქსოვილების ნეკროზი, დამწვარ ზედაპირზე შავი ფერის ქერქის წარმოქმნით.



მეოთხე ხარისხის დამწვრობას დანახშირებასაც უწოდებენ. ამ დროს ზიანდება კანი, კანქვეშა ქსოვილი, კუნთები და ძვლებიც კი.

მესამე და მეოთხე ხარისხის დამწვრობის დროს ტკივილი უფრო ნაკლებია, ვიდრე პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობის დროს. მესამე და მეოთხე ხარისხის დამწვრობის დროს ნერვული ბოჭკოების დაბოლოებებიც ზიანდება, ამიტომ ტკივილი მცირდება. რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ ბავშვს ტკივილი არ აქვს და არ ტირის და არ ჭირვეულობს, ყველაფერი მარტივადაა, ამ დროს არის მესამე ხარისხის დამწვრობა და როგორც ხდება ხოლმე, იწყებს ბინაზე მალამოებით მკურნალობას. ეს ყოვლად დაუშვებელია. მესამე და მეოთხე ძალიან მძიმე ხარისხებია და სასწრაფოდ უნდა მიიყვანონ ბავშვი სპეციალისტთან.

პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობის დროს ბავშვი ტირის და ამიტომ მიჰყავთ ხოლმე ექიმთან, მესამე ხარისხის დამწვრობის დროს ბავშვს ტკივილები არ აქვს და შედარებით მშვიდადაა, ამიტომ მშობლებს ჰგონიათ, რომ მალამოთი დაზიანებული ზედაპირი აღდგება, არადა ამ დროს კუნთი, მყესი ზიანდება და შესაძლებელია მძიმე დაზიანება კონტრაქტურა წარმოიშვას, ანუ ეს ნიშნავს, რომ მოხრილი დარჩეს მტევანი და პაციენტმა თითები ვერ გაშალოს, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მიმართონ მშობლებმა დამწვრობის სპეციალისტს, რომელსაც კომბუსტიოლოგი ჰქვია.

***– როგორია პირველადი დახმარება თერმული დამწვრობის დროს?***

– თუ ხანძარია, პირველ რიგში ცეცხლი უნდა ჩავაქროთ, გამოვიყვანოთ დაზიანებული დამწვრობის ზონიდან, ჩავუქროთ ტანსაცმელზე მოდებული ალი.

თუკი დამწვრობა მოხდა დამწვარი სითხის გადასხმის შემთხვევაში, ამ დროს აუცილებელია დროულად დავიწყოთ დამწვარი არის გაგრილება ცივი წყლით. ძალიან კარგია თუ გამდინარე წყალს მივუშვერთ დაზიანებულ არეს. ეს შეამცირებს ადგილობრივად შეშუპებას და ტკივილსაც. ჩამობანეთ დაზიანებული არე წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში.

დამწვრობის ზედაპირის ფართობის და სიღრმის გათვალისწინებით, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, გამოვიძახოთ სასწრაფო, ამის შემდეგ ვუწევთ პაციენტს პირველად დახმარებას, პირველ რიგში, უნდა მოვაცილოთ ტანსაცმელი, უკეთესია მოვაჭრათ. არ მოაშოროთ არანაირი მიმწვარი ტანსაცმლის ნარჩენები, რადგან ამან შეიძლება სისხლდენა გამოიწვიოს. მოაშორეთ პაციენტს სამკაულები, რადგან თანდათან დაიწყება შეშუპება და მათი მოშორება შემდეგ უფრო გაგიჭირდებათ. დაზიანებული ადგილი უნდა ჩამობანოთ სუფთა წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. არ გამოიყენოთ ყინული. არ გახსნათ ბუშტუკები, რადგან ეს პროცესი გაზრდის ინფექციის შეჭრის ალბათობას. დახმარების წინ დაიბანეთ ხელები და თუ გაქვთ საშუალება, გამოიყენეთ ხელთათმანები. დამწვარ ადგილზე დაადეთ ტენიანი სტერილური საფენი. ტკივილის დროს პაციენტს უნდა მივცეთ ტკივილგამაყუჩებელი, უნდა მივცეთ დიდი რაოდენობით სითხეები. ამ დროს აუცილებელია სპეციალისტის – კომბუსტიოლოგის კონსულტაცია.

თუ ბავშვმა თითი ჩაყო მდუღარე წყალში, ვითომ ფართობი მცირეა, მაგრამ იმ მდუღარე წყალში დამწვრობამ შეიძლება თითი დააზიანოს, ამიტომ ძნელია მშობლისთვის ფართობს მიაქციოს ყურადღება და სიღრმეს. სიღრმის განსაზღვრა მშობლისთვის კი განსაკუთრებით რთულია, ამიტომ დამწვრობაზე ასე ამბობენ – არა თვითმკურნალობას! ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია სპეციალისტის კონსულტაცია.

***– რას იტყვით ელექტროდამწვრობაზე?***

– ელექტროტრავმა დამწვრობის მძიმე ფორმაა. სიმძიმე დამოკიდებულია ელექტროდენის ძაბვასა და სიძლიერეზე, დაზიანებული ადგილის ფართობზე, ორგანიზმში გამავალი დენის მიმართულებაზე.

დამწვრობა და ელექტროტრავმაც შეიძლება თავიდან ავირიდოთ მაქსიმალური ყურადღებით. ძალიან ხშირად პაციენტები უყურებენ უფროსებს, როგორ აერთებენ ჩამრთველში უთოს, ელექტროჩაიდანს და მათაც გაუცნობიერებლად უჩნდებათ სურვილი, რომ რაღაც შეაერთონ.

ელექტროდამწვრობის დროს პირველადი დახმარება გულისხმობს დამაზიანებელი ფაქტორის მოშორებას, დენის წყაროდან გამორთვას, ან ხის ჯოხის საშუალებით სადენის მოცილებას. ამ დროს ხელზე აუცილებლად უნდა გვეცვას რეზინის ხელთათმანი და მჭიდროდ გვქონდეს შემოხვეული მშრალი ქსოვილი. ამის შემდეგ დამწვარ ადგილას უნდა დავაფაროთ მშრალი სტერილური საფენი და მაქსიმალურად სწრაფად გადავიყვანოთ სტაციონარში.

***– როგორ მოვიქცეთ ქიმიური დამწვრობის შემთხვევაში?***

– ქიმიური დამწვრობის შემთხვევები დღეს უფრო ხშირია, ვიდრე ადრე. ამ დროს აუცილებლად გახადეთ ტანსაცმელი, რომელზეც მოხვდა მჟავა, ტუტე ან სხვა ქიმიური აგენტი, დაზიანებული უბანი კი ჩამობანეთ წყლით 20-30 წუთის განმავლობაში. არ გამოიყენოთ პირსახოცი, ხელსაწმენდი, ცხვირსახოცი კანიდან ქიმიური აგენტის მოსაშორებლად. ამით მხოლოდ გააღრმავებთ დაზიანებას, გააძლიერებთ ტკივილს და შეშუპებას.

თუ დამწვრობა ფხვნილისებრი სტრუქტურის აგენტმა გამოიწვია, დაზიანებული უბნის წყლით ჩამორეცხვამდე აუცილებელია ფხვნილის ნარჩენების მოცილება ჯაგრისით. დამწვრობით გამოწვეულ ჭრილობაზე დაადეთ სტერილური ნახვევი და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. დაუშვებელია დაზიანების გამომწვევი ქიმიური აგენტის სხვადასხვა საშუალებებით განეიტრალება, მაგალითად, მჟავა-ტუტით. ეს ყოვლად დაუშვებელია.

***– რა უნდა გავაკეთოთ ინგალაციური ანუ შესუნთქვით დაზიანების დროს?***

– ესეც დამწვრობის ერთ-ერთი სახეა. თუ ბავშვს აღენიშნება შეტრუსული თმები, წამწამები და წარბები და თან სახეზეა სახის ან კისრის დამწვრობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილი აქვს ინგალაციური დაზიანების ნიშნებს. მისი ნიშნებია ხმის ჩახლეჩა, ხმაურიანი სუნთქვა, ლაპარაკის გაძნელება, პირ-ხახის შეშუპება, პირ-ხახაში ნახშირის არსებობა, ხველა და ნახველში ნახშირის არსებობა, თუ დახურული სივრცეა და ბავშვს სუნთქვა გაუძნელდა, სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს.

## „ლაითი“ სიგარეტები კიბოთი დაავადების რისკს ზრდის, თვლიან ამერიკელი მეცნიერები



ითვლება, რომ ე.წ. „ლაითი“ სიგარეტები, სპეციალური ფილტრებით, უფრო ნაკლები ზიანის მომტანია ადამიანისთვის, ვიდრე ჩვეულებრივი. თუმცა, ოჰაიოს უნივერსიტეტის მკვლევარები თვლიან, რომ უკანასკნელ ათწლეულებში მათი პოპულარობის ზრდა ემთხვევა ადენოკარცენომით (ფილტვის კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმა) დაავადებულთა რაოდენობის ზრდას.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პერფორირებული ფილტრები არ ამცირებს მავნე ნივთიერებების რაოდენობას, არამედ უბრალოდ ჰაერთან აზავებს მათ.

მას შემდეგ, რაც თამბაქოს მავნებლობის გამო მსოფლიოში სიგარეტის მოწევისათვის თავის დანებება დაიწყეს, პარალელურად იზრდება ე.წ მსუბუქი სიგარეტებისადმი მოთხოვნილება.

ამავე დროს, ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რაოდენობის შემცირების ფონზე, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, იზრდება ადენოკარცენომით დაავადებულთა რიცხვი, რასაც ამერიკელი მკვლევარები ე.წ. მსუბუქი სიგარეტების პოპულარობის ზრდას უკავშირებენ.

– პერფორირებული ფილტრი არ ამცირებს მავნე ნივთიერებების რაოდენობას თამბაქოს ბოლში, ამასტან, მწეველი ჩვეულებრივ სიგარეტთან შედარებით, უფრო დიდ „ნაფაზს“ აკეთებს, რის გამოც ფილტვებში მეტი რაოდენობის კარცენოგენები ხვდება. ასეთი ფილტრის მქონე სიგარეტში თამბაქო წვისას მეტ კარცენოგენს წარმოშობს, ხოლო ბოლი უფრო ღრმად აღწევს ფილტვებში, – აცხადებენ მკვლევარები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.**

**თამარ ხარხელი: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი
### 14 ივნისისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 3. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი ნიადაგი; 4. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 5. ნუშისებრი ჯირკვლის ანთება; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად**: 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. ესპანური ფართოფარფლებიანი ქუდი; 8. ძრავიანი ველოსიპედი; 10. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 11. შუშხუნა ღვინოების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაგი; 2. ხირსა; 3. არაყი; 5. შულერი; 6. ტრომბონი; 9. ივანიშვილი; 10. ცოლიკაური; 11. რენესანსი; 14. ფრი; 16. ბეკინა; 18. „აიდა“.

**თარაზულად:** 1. ფრახტი; 4. ტაშკენტი; 7. პრუსია; 8. ყვარელი; 12. „ვალიო“; 13. ოფორტი; 15. „ლინატე“; 17. თვე; 19. „მანდარინები“; 20. „სიმდი“; 21. მარულა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიხაშხო; 2. წნორი; 3. სკანსენი; 4. ბურნაკუ; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლეკები; 15. ზიჩი; 17. „ტატრა“; 18. აკრი.

**თარაზულად:** 6. ხიხანი; 7. აკაპულკო; 8. „მადერა“; 10. ქართუ; 11. „როსტომიანი“; 13. კლაუზულა; 16. ბატატი; 19. კალაჰარი; 20. ნიველირი.

# კავკაზ ჯაზი საუკეთესო მუსიკოსებს გააერთიანებს




მოძრაობის თეატრი კავკასიური ჯაზის მოყვარულთა თავშეყრის ადგილად იქცევა და რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ სცენაზე მსმენელის წინაშე წარდგებიან შემსრულებლები აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, საქართველოდან და სომხეთიდან. პროექტის ორგანიზატორია არტ ბრიჯი.

კავკაზ ჯაზ ფესტივალი 7 წელია ტარდება და ამ დროის განმავლობაში ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მუსიკოსმა 11 ქვეყნიდან.

14 ივნისს დაიწყება მასტერ-კლასების სერია ახალგაზრდა ჯაზ– შემსრულებლებისათვის. მეცადინეობებს გაუძღვებიან ცნობილი მუსიკოსები და პედაგოგები სალმან გამბაროვი, შენთურქ ოზთაში, ჯორჯ მელი – გიორგი მელიქიშვილი და არმენ უსნუნცი. მასტერკლასებს ტრადიციულად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია უმასპინძლებს.

17 ივნისს მოძრაობის თეატრში პირველი კონცერტი ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ბენდები.

19 ივნისს მოძრაობის თეატრში გაიმართება დიდი დასკვნითი ჯემ-სეიშენი სლოგანით „გააჯაზე საზღვრები" ოთხივე ქვეყნის მუსიკოსების შესრულებით.

ერთ სცენაზე გამოვლენ როგორც ფესტივალის სპეციალური სტუმრები, ასევე მასტერ-კლასების მონაწილეებიც. ჯემ სეიშენს ცნობილი ქართველი მუსიკოსებიც შეუერთდებიან. სალმან გამბაროვი აზერბაიჯანელი პიანისტი, კომპოზიტორი და არანჟირების ავტორია, რომელიც მონაწილეობდა ცნობილ ფესტივალებში, ამჟამად ის წარდგება მუსიკოსების საერთაშორისო ბენდთან ერთად. შენთურქ ოზთაში თურქი ბასისტი, კომპოზიტორი და არანჟირების ავტორი, რომელიც მრავალი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა. ჯორჯ მელი – გიორგი მელიქიშვილი, პერკუსიონისტი, კომპოზიტორი, არანჟირების ავტორი და დრამერი. მას ამერიკაში „ნიუ იორკის ჯაზის და მსოფლიო მუსიკის სცენის ვეტერანი" უწოდეს. გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა პრესტიჟული ბერკლის კოლეჯი ამერიკაში, არის გამოჩენილი არტისტების მრავალი პროექტის მონაწილე და საავტორო პროექტების ლიდერი-კომპოზიტორი და არანჟირებების ავტორი. არმენ უსნუნცი სომეხი საქსოფონისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი და სომხეთის დამსახურებული არტისტი. იყო ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის მიწვეული პროფესორი.

კავკაზ ჯაზის ორგანიზატორების განცხადებით, მათი მიზანია კავკასიაში მოღვაწე ნიჭიერი ხელოვანების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და მათი პოპულარიზაცია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა და გიორგი წერეთლები, მამა ვახტანგ წერეთელი, დედა დალი კობერიძე, დები რუსუდან და ანა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი:** 13, 14 ივნისს, დოლიძის ქუჩა XIII კორპუსი.

**გამოსვენება:** 15 ივნისს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

მეუღლე თამუნა სულაძე, შვილები ანა და გიორგი წერეთლები, სიმამრი იური სულაძე, სიდედრი ინგა კალანდარიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

---

ბიძა ავთანდილ წერეთელი, ბიცოლა ნანა ხუნდაძე, ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

---

ბიძა ზურაბ წერეთელი, ბიცოლა ელზა ჩხიკვიშვილი, ბიძაშვილები ნინო და ეკა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

---

ბიცოლა ინა წერეთელი, ბიძაშვილები მაია და ივა წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

---

ბიძაშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლევან ვახტანგის ძე წერეთლის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „ვალერი გერგიევთან არასდროს დავუკრავ, იმიტომ, რომ პუტინის პოლიტიკას უწევს პროპაგანდას!"

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი გერმანიის ერთ-ერთმა ცენტრალურმა არხმა მიიწვია გადაცემაში სტუმრად და მის შემოქმედებაზე ესაუბრა.

ქართველ პიანისტს გადაცემის წამყვანმა ჰკითხა, რატომ არ მიიღებს კონცერტში მონაწილეობას დირიჟორ ვალერი გერგიევთან ერთად, რაზეც ხატიამ ასეთი პასუხი გასცა:



– ვალერი გერგიევთან არასდროს დავუკრავ არა მარტო იმიტომ, რომ ის პუტინის მეგობარია. მეგობრობა ისეთი რამეა, სადაც შეზღუდვა არ არსებობს, ადამიანი მეგობრობს იმასთან, ვისთანაც სურს. ამ შემთხვევაში საყურადღებო ის არის, რომ ვალერი გერგიევი პუტინის პოლიტიკას უწევს პროპაგანდას. ვლადიმერ პუტინი პატივს არ სცემს ადამიანის უფლებებს როგორც რუსეთში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. მას ოკუპირებული აქვს ჩემი სამშობლო – საქართველო, ახდენს უკრაინის ანექსიას, ყველამ იცის, რა ვითარებაა სირიაში და ვინ არის ამაში დამნაშავე. ასეთ დროს არ გვაქვს უფლება, ვიყოთ ნეიტრალურები, ჩვენ ამ მოვლენებზე რეაგირება უნდა მოვახდინოთ. ეს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. მე ვარ საქართველოს და ასევე მსოფლიოს მოქალაქე, ამიტომ ვალდებული ვარ ვთქვა, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც პირადად ჩემთვის მიუღებელია.

# „წითელი ზონა" საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღარ გავა

რადიო თავისუფლების პროექტი „წითელი ზონა" საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღარ გავა. ინფორმაცია ამის შესახებ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უკვე შეატყობინა რადიო „თავისუფლებას".

„წითელ ზონასთან" ერთად საზოგადოებრივზე მაყურებელი ვეღარ იხილავს სალომე ასათიანის „ინტერვიუ"-საც. ორივე გადაცემის ჩვენება ეთერში ივლისის შუა რიცხვებიდან შეწყდება.

ინფორმაციას „ნეტგაზეთი" ავრცელებს. რადიო „თავისუფლების" ქართული სამსახურის უფროსის დავით კაკაბაძის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ მათ მიიღეს წერილობითი შეტყობინება, რომელშიც გადაცემებზე უარის თქმის მიზეზად არხის რეორგანიზაციაა დასახელებული.

გაგრძელდება თუ არა მომავალში თანამშრომლობა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და რადიო „თავისუფლებას" შორის, ამ ეტაპზე უცნობია.




# მაგდა ვასაძემ „იქს ფაქტორი" დატოვა



მუსიკალური შოუს „იქს ფაქტორის" მორიგი საკონკურსო დღე წარუმატებელი აღმოჩნდა მაგდა ვასაძისთვის. ყველასთვის კარგად ცნობილმა მომღერალმა პროექტი ჟიურის გადაწყვეტილებით დატოვა.

მაგდა ვასაძე აუთსაიდერი მეორედ გახდა. წინა საკონკურსო ტურში ის პროექტიდან გავარდნის კანდიდატთა შორის აღმოჩნდა. მაგდამ მაშინ მერაბ ამზოევს აჯობა და ჟიურიმ პროექტში სწორედ მაგდას დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ამჯერად აუტსაიდერები ჯგუფი „მიქსტურა" და მაგდა ვასაძე გახდნენ. მათ მაყურებლისგან ყველაზე ცოტა ხმები დააგროვეს. ჟიურის გადაწყვეტილებით, „იქს ფაქტორში" გამარჯვებისთვის ბრძოლას ჯგუფი „მიქსტურა" გააგრძელებს.

პროექტში თითო კონკურსანტით არიან დარჩენილები სტეფანე მღებრიშვილი – ჯგუფი „მიქსტურა", სოფო ნიჟარაძე – სანდრო კურცხალიძე და ლელა წურწუმია – სოფო საჟინიანი. ორი კონკურსანტი ჰყავს გიორგი გაბუნიას – გრიგოლ ყიფშიძე და თამარ ედილაშვილი.

უკვე მეორედ შოუს ლიდერი სანდრო კურცხალიძეა. 22.357 ზარიდან მან ხმათა უმრავლესობა 25.75 პროცენტი დააგროვა.

# ბრიტანული ვოგის ყდაზე 42 წლის მოდელის სურათი გამოქვეყნდა

ჟურნალ ვოგის ბრიტანულმა ვერსიამ ყდაზე 42 წლის მოდელის, კეროლინ მერფის სურათი განათავსა. ნომერი მიეძღვნა სტილს, რომელიც ასაკს არ ექვემდებარება.

როგორც გამოცემის მთავარმა რედაქტორმა, ალექსანდრა შულმანმა განაცხადა, მან მერფი ერთ-ერთ წვეულებაზე ნახა და, მისი აზრით, ის შესანიშნავად გამოიყურებოდა. შულმანის თქმით, მისთვის საინტერესოა იმის ჩვენება, დღესაც როგორ ფანტასტიკურად გამოიყურებიან 1990-იანი წლების სახელგანთქმული მოდელები.

ალსანიშნავია, რომ 40 წელზე მეტი ხნის ქალებზე მოქმედებას იწყებს უამრავი „მოდის წესი" და თითქმის ყველა ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს: ზოგი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის ფეხებს აკრიტიკებს, ზოგი მიიჩნევს, რომ 40 წელს გადაცილებულმა ქალებმა ხელები არ უნდა გაიშიშვლონ და ა.შ.

ამის მიუხედავად, სულ უფრო მეტი ჟურნალი და მოდური ბრენდი აცნობიერებს იმ დახვეწილი, მოდური ქალების მიმზიდველობას, რომელთა ასაკი 40, 50, 60 წელს აღემატება. მაგალითად კი მოჰყავთ მსახიობები: უმა თურმანი, ნიკოლ კიდმანი, იზაბელ იუპერი.




# ბრილიანტი, რომელიც ბიჟუტერია ეგონათ, 660 ათასად გაიყიდა

ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, რომელიც მის მფლობელს ბიჟუტერიის ქვა ეგონა, ლონდონში გამართულ აუქციონზე თითქმის 660 ათას ფუნტად გაიყიდა.

საიუველირო ნაკეთობის გაყიდვით აუქციონის სახლი სოთბი იყო დაკავებული.



თავდაპირველად ბეჭედი 1980-იან წლებში ძველმანების ბაზრობაზე გაიყიდა. მისმა მფლობელმა (მისი ვინაობა და სქესი არ სახელდება) მასში 10 ფუნტი გადაიხადა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სინამდვილეში ბეჭედს 26 კარატიანი ბრილიანტის თვალი ამშვენებდა. აუქციონის წინ ლოტი 250-დან 350 ათას ფუნტ სტერლინგამდე იყო შეფასებული.

მყიდველის ვინაობა უცნობი დარჩა, თუმცა ამავე დროს ცნობილია, რომ მისი შემძენი კერძო კოლექციონერი არ არის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი
14 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** მადაგასკარის პინგვინები **09.00** დილის მოამბე **10.00** პირადი ექიმი. **11.00** დოკ/ფ - შუა საუკუნის მანერები **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტელემანი **12.45** კაცების დრო **13.50** ფერმა **14.20** სიტყვების თამაში **15.00, 02.40** "C სტუდია" **16.15** ეკონომეტრი **16.30** ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ **17.00** რეალური სივრცე **18.30** ხანმოკლე XX საუკუნე **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** სპორტის დაფა **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** მთავარი **23.00** მხ/ფ "**ძალაუფლებით თამაში**" **01.10** მხ/ფ "**მორიელთა მეფე**"

**08.00**დოკ/ფ "კიდევ სცადე" **09.00**დოკ/ფ "ეფლი" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15**დოკ/ფ "მესამე ხანა" **11.05**დოკ/ფ "იმკების მარილი" **12.00**საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00**"თავისუფალი ტრიბუნა" **20.00**"მოამბე" **21.00**"არგუმენტების დრო" **22.00**ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **23.00**"მოამბე" (**3** ენაზე) **00.00**"ნამდვილი დრო" **00.30**ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ "**მთასვლელი**" **02.35** მხ/ფ "**ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე**" **04.25** მხ/ფ "**ჯენიფერ რვა**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**მკერავი**" **00.40** მხ/ფ "**ეშმაკი პრადას ატარებს**" **02.40** მხ/ფ "**თუ დედამთილი მონსტრია**" **04.35** მხ/ფ "**გოგონები კალენდრიდან**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **10.30** დ/ფ "ველური ბუნება"-მეფე დელფინის ნადირობა **11.00** მიწათმოქმედი "მევენახე გეგელიძეებიდან" **11.15** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** აქტუალური თემა "თამბაქო" **15.55** კონცერტი **17.20** "ერთსულოვანი ოჯახი"-ნოდიები **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** წმინდანები **21.35** ეპოქის სახელები "ეპისკოპოსი გაბრიელი" **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია "აფხაზეთის საკათალიკოსო" **00.30** დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები-**33**" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.30, 20.30** სერ. "**მარისა** " **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **0.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან" **2.00** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4062 | ევრო — 2.6986 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0523 | 100 რუსული რუბლი — 4.2188 |

## ამინდის პროგნოზი 14 ივნისისთვის




1 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

6 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
გამქრალი ოცნებანი
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

9 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## იუმორი



შვილი დედას ეუბნება:
– დედიკო, მე შენთვის კარგი ახალი ამბავი მაქვს.
– რა, ათიანი მიიღე ალგებრაში?
– დედიკო, ხომ გითხარი, კარგი და არა სასწაული...

●●●

ცოლი ქმარს ინტიმური ცხოვრების გამრავალფეროვნებას სთავაზობს:
– ძვირფასო, მოდი, საავადმყოფო გავითამაშოთ!
– არ მინდა.
– შენ მე არ გიყვარვარ?
– კარგი, რა უნდა გავაკეთო?
– სასწრაფო გამოიძახე.
– ალო, სასწრაფოა?
– დიახ.
– ჩემი ცოლი წაიყვანეთ, ჭკუიდან შეიშალა.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:
– სახე რას გიგავს, რა დაგემართა?
– პლასტიკურ ქირურგთან ვიყავი.
– მერე?
– პიკასოს თაყვანისმცემელი ყოფილა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– რას შვრები, როგორ ხარ?
– მარტში მეგობარ გოგონას დავშორდი.
– მერე?
– ჯერ კიდევ აპრილის ხელფასით ვცხოვრობ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ ჩვენს მთავრობაში უპატიოსნო ადამიანები მუშაობენ.
– აბა?..
– ობიექტურები ვიყოთ და უნდა ვაღიაროთ, რომ ასევე – არაკომპეტენტურებიც.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– როგორც ჩანს, ინტერნეტი ჩართე.
– საიდან მიხვდი?
– შენი თვალებით.
– უფრო ჭკვიანური გამიხდა?
– არა, ჩაგიწითლდა...

●●●

ფირმაში შეიარაღებული ნიღბიანები შეიჭრნენ:
– იატაკზე დაწექით, ძარცვაა.
– რა გული გამიხეთქეთ, საგადასახადო პოლიცია მეგონეთ, – უპასუხა ბუღალტერმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



15 ივნისიდან




ფილიპ ჩესტერფილდი
წერილები ჩემს ვაჟს

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## ნიკოლოზ ბასილაშვილი შტუტგარტში დამარცხდა



ნიკოლოზ ბასილაშვილმა შტუტგარტში მიმდინარე ტურნირზე თავისი პირველივე შეხვედრა წააგო გერმანელ ჩოგბურთელ პეტერ გიოვჩიკთან. პირველი სეტი ბასილაშვილმა 6:2 მოიგო, მაგრამ საბოლოოდ მან უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და სამ სეტში დამარცხდა ანგარიშით 6:2, 3:6, 1:6.

ამ ტურნირის შემდეგ ბასილაშვილი, სავარაუდოდ, მცირე პაუზას აიღებს და შემდეგ უკვე უიმბლდონისთვის დაიწყებს მზადებას.

უიმბლდონი 26 ივნისს დაიწყება და ბასილაშვილი ამ ტურნირის ძირითად ბადეშია.

## კრიშტიანო რონალდუ ესპანეთის პროკურატურამ დამნაშავედ ცნო



ესპანეთის პროკურატურამ პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ გადასახადების დამალვაში დამნაშავედ ცნო.

რონალდუს ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება, თუმცა, სავარაუდოდ, პორტუგალიელი ციხეში ჩაჯდომას თავიდან აიცილებს. პროკურატურა რონალდუს 2011-2014 წლებში 14 მილიონი ევროს დამალვას ედავება, რომელიც კრიშტიანომ სხვადასხვა მაქინაციების წყალობით არ გადაიხადა.

ჯერჯერობით, თვითონ რონალდუს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის პროკურატურამ ლიონელ მესიც დამნაშავედ ცნო გადასახადების თავიდან არიდებაში და პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.

## კლაუდიო რანიერი ნანტის მწვრთნელი გახდება



იტალიელი სპეციალისტი კლაუდიო რანიერი მომავალი სეზონიდან ფრანგული ნანტის მწვრთნელი იქნება.

რანიერი ნანტთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

რანიერის საფრანგეთში უმუშავია და ის მონაკოს მწვრთნელი იყო, თუმცა ამ გუნდში მან წარმატებას ვერ მიაღწია. ბოლო ორი სეზონის მანძილზე ის ლესტერის თავკაცი იყო და 2016 წელს მისი ხელმძღვანელობით ლესტერმა თავის ისტორიაში პირველად ინგლისის ჩემპიონატი მოიგო. მიუხედავად ამისა, 2017 წლის თებერვალში რანიერი ცუდი შედეგების გამო ლესტერიდან გაათავისუფლეს.

## ანტუან გრიზმანმა ატლეტიკოსთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მადრიდის ატლეტიკოს ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ის ატლეტიკოში 2022 წლის ჩათვლით ითამაშებს.




ამ ნაბიჯით გრიზმანმა საბოლოოდ წერტილი დაუსვა იმ ჭორებს, რომ მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებდა კარიერას. გრიზმანმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია იმით, რომ ატლეტიკოს სურს მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება და ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ გუნდის გულშემატკივრებს უამრავი სიხარული მოუტანოს.

გრიზმანი ატლეტიკოს ღირსებას 2014 წლიდან იცავს და ამ ხნის მანძილზე ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 2. ნარკოტიკული ნივთიერება; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. ფუტკრის სადგომი; 16. ტერიტორიული ერთეული ირანში; 18. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად**: 1. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 7. გამცემლობა, ორგულობა, ვერაგობა; 8. კუთხე საქართველოში; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. ფულის გამოშვება; 17. კლდეზე საკიდი ელექტრონათურა; 19. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის" პერსონაჟი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

